პავშვის უფლებები

N1,2022

პოზიტიური მშობლობა

ჰუმანური პედაგოგიკა

როგორ ვასწავლო შვილს

რა არის სწორი
და რა – არასწორი

ISSN 2720-8621
9 772720 862008

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ერთიანული
ცენტრი

ბავშვთა უფლებები

№1, 2022

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრის
გამოცემა

სარედაქციო კოლეგია

დავით ხვედელიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

დავით სიმონია
იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე

ნათია ალიაშვილი
არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მორის ბარამია
განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ტყეშელაშვილი
მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი

მთავარი რედაქტორი
ანი კუდუხაშვილი

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

ფოტოგრაფი
გელა ბედიანაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

**მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი**

მისამართი:

**თბილისი,
სანდრო ეულის ქ. 5,
ელფოსტა:
info@tpdc.ge**

ISSN 2720-8621

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

ბერიკა შუკაკიძე

განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ანი კუდუხაშვილი

მთავარი რედაქტორი, ინოვაციური განათლების პროგრამის მენეჯერი დაწყებითი საფეხურის ექსპერტ-კონსულტანტი

გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენციამ არსებითად შეცვალა დამოკიდებულება ბავშვების მიმართ. შესაბამისად, დღესდღეობით, საზოგადოების აზრი უფრო მეტადაა მიმართული ბავშვთა უფლებების დაცვისა და მათი დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისკენ. კონვენცია ზედმიწევნით განმარტავს ბავშვთა მოწყვლადობას, მათი უფლებების მნიშვნელობას და მათზე ზრუნვის აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია თითქმის ყველა ქვეყნის მიერაა აღიარებული და მიღებული, ხოლო, კონკრეტულად საქართველო მას 1994 წელს შეუერთდა.

მოქალაქეებს გვეკისრება ვალდებულება, რომ კონვენციის შესაბამისად, დავიცვათ თითოეული ბავშვის უფლება; ყოველგვარი დისკრიმინაციული დამოკიდებულების გარეშე გავითავისოთ კონვენციის თითოეული პრინციპი და ხელი შევუწყოთ მის პროგრესირებას.

სწორედ ზემოხსენებული კონვენცია ადასტურებს, რომ ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის, განვითარებისა და აზრის გამოხატვის უფლება, ამასთან, განათლების უფლება; განათლების მიზანი კი შემდეგია – თითოეულ ბავშვს მიეცეს საშუალება, მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი და ისწავლოს ადამიანის უფლებების, პასუხისმგებლობებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა. ამისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების თითოეული წევრის პროცესებში მაქსიმალური ჩართულობა და თანამშრომლობა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ ჟურნალს, სადაც განიხილავთ უშუალოდ ბავშვის უფლებებს, შევეხებით სხვადასხვა აქტუალურ საკითხს, რომელსაც ბავშვი აწყდება საზოგადოებრივ და სასკოლო ცხოვრებაში. ამასთან, მიმოვიხილავთ გამოწვევების გადაჭრის გზებსა და რეკომენდაციებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის ფარგლებში, ამოქმედდა ქვეპროგრამა – მასწავლებელთა ჩართულობისა და ცნობიერების ხელშეწყობა ბავშვთა უფლებების მიმართულებით. ბავშვთა უფლებების თემა უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. ერთხმად ვთანხმდებით, რომ ბავშვი უფლებების მფლობელ სუბიექტს წარმოადგენს და არა დასაცავ ობიექტს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც საზოგადოების მოწყვლად წევრად რჩება.

უფროსებმა ვიცით, რომ ბავშვის მოწყვლადობა მისი ასაკით, განვითარებადი უნარებით, მოუმწიფებლობით, გადაწყვეტილების მიღების უნარის ნაკლებობითა და ზრდასრულზე დამოკიდებულებით არის განპირობებული. სწორედ ამიტომ, ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება, მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, ოჯახის მხარდაჭერა, საუკეთესო ინტერესების უპირატესობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და პასუხისმგებლობების გააზრება – ის მნიშვნელოვანი დეტალებია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო კურიკულუმის ნაწილს წარმოადგენს. იმისათვის, რომ აღვზარდოთ სრულფასოვანი მოქალაქე, აუცილებელია, ბავშვი იცნობდეს თავის უფლებებს, აფასებდეს და იცოდეს, როგორ ისარგებლოს საკუთარი უფლებებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ინოვაციური განათლების პროგრამის ფარგლებში, წარმოგიდგენთ ახალ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ჟურნალს „ბავშვთა უფლებები“.

ჟურნალი ორიენტირებული იქნება ბავშვთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების საკითხებზე და საინტერესო და საჭირო ინფორმაციას მიაწვდის მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს – სრულიად სასკოლო საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ პირს.

შევეცდებით, ყოველ ნომერში შემოგთავაზოთ კონკრეტული ხედვები, აქტუალური თემები და რეკომენდაციები.

ჟურნალის პირველ ნომერში გამოყოფილია სამი რუბრიკა: სკოლა, მოსწავლე, მშობელი. ვისაუბრებთ ჰუმანურ პედაგოგიკაზე, გენდერსა და ბულინგზე. მოსწავლეები აღმოაჩენენ საინტერესო სტატიას სოციალური მედიის გავლენაზე და შეეძლებათ, მეგობრებთან ერთად ჩაერთონ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში. ამასთან ერთად, ჟურნალში ყურადღება გავამახვილეთ პოზიტიურ მშობლობაზე, რამეთუ, მშობლის როლი უმნიშვნელოვანესია ბავშვის აღზრდა-განვითარებაში.

აქვე მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თითოელი სტატიის ავტორს აქტუალური და საჭირო თემების წარმოდგენისათვის და სარედაქციო კოლეგიის წევრებს გაწეული შრომისათვის.

სკოლა

2 პაატა ამონაშვილი
კოკასა შიგან რაცა სდგას...
რას ნიშნავს ჰუმანური მასწავლებელი?

სკოლა

7 სალომე ჯავახაძე
ასაკობრივი განვითარების
თავისებურებები ადრეულ და
შუა ბავშვობაში

სკოლა

14 მარიამ ბეგიაშვილი
როგორ ამოვიცნოთ
მსხვერპლი ბავშვი

სკოლა

22 გვანცა ხორგუაშვილი
ბავშვის უფლებები განათლებაში
უცხოეთის გამოცდილება

სკოლა

30 მიხეილ სარჯველაძე
ბავშვთა უფლებების დაცვის
მიმართულებით განხორციელებული
ცვლილებები

მოსწავლე

36 თამარ სიმონია
სოციალური მედიის გავლენა
სასწავლო პროცესსა და
სოციალურ ცხოვრებაზე

მოსწავლე

41 ემეგობრე პოლიციას

მშობელი

42 მაია ცირამუა
როგორ გავხდე პოზიტიური მშობელი?

მშობელი

47 ჯინა შოგირაძე
როგორ ვასწავლო შვილს,
რა არის სწორი და რა – არასწორი?

მშობელი

54 ნინი გუნცაძე
ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა
ბავშვის განვითარებაზე

პაატა ამონაშვილი

კოკასა შიგან რაცა სდგას...

რას ნიშნავს ჰუმანური მასწავლებელი?

არიან მასწავლებლები, რომლებსაც აინტერესებთ ჰუმანურ-პედაგოგიური მიდგომები, კითხულობენ ლიტერატურას, სწავლობენ პედაგოგიკის კლასიკოსთა ნაშრომებს, ცდილობენ ჰუმანურ-პედაგოგიური მეთოდების გამოყენებას, მაგრამ მეთოდები, მათ შემთხვევაში, შედეგს არ იძლევა.

როცა ასეთ მასწავლებლებს ვხვდები და ვესაუბრები, მიყალიბდება შთაბეჭდილება, რომ ხანდახან (შეიძლება ხშირადაც კი) თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში რთული საქმეა.

რა არის ამის მიზეზი?

ჩვენ გვჯერა, რომ მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი (ისევე, როგორც ოჯახის წევრებისადმი, ადამიანებისადმი ზოგადად და მთლიანად სამყაროსადმი) შეიძლება იყოს ან ავტორიტარული, ან ჰუმანური.

ურთიერთობის შუალედური ფორმები, ალბათ, არც არის და გვიხდება ავირჩიოთ ამ ორიდან ერთ-ერთი.

ორივე მიდგომა გულისხმობს ურთიერთობის თავისებურ ფორმებს. თუმცა კი, ურთიერთობის ფორმები მასწავლებლის შინაგანი მდგომარეობის გარეგნული გამოვლინებაა.

შინაგანი მდგომარეობა ყოველთვის პირველადია.

რუსთაველის სიბრძნე: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“, ღრმა ფსიქოლოგიურ ჭეშმარიტებასაც გუ-

ლისხმობს. ის ურთიერთობა, რომელსაც მასწავ-ლებელი ამყარებს მოსწავლეებთან, თავად მას-წავლებლის შინაგანი ფსიქოლოგიური და სული-ერი მდგომარეობის გამოვლენა და გაგრძელებაა.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გაღიზიანებული და გაბრაზებული მასწავლებელი მოსიყვარულე და გულისხმიერი ვერ იქნება.

როცა ვლაპარაკობთ კლასში ავტორიტარული ურთიერობის ფორმებიდან ჰუმანურ ურთიერ-თობაზე გადასვლის შესახებ, მთავარი (შეიძლება, ერთადერთი) სირთულე სწორედ მასწავლებლის ფსიქოლოგიური და სულიერი მდგომარეობის შეცვლაა.

მოსწავლეებთან ურთიერთობაში ჰუმანური მეთოდების გამოყენება მოითხოვს მასწავლებლის სპეციფიკურ მდგომარეობას გონების, გრძნობები-სა და სულიერ დონეებზე.

შევეცადოთ, აღვწეროთ ეს ორი მდგომარეობა – ჰუმანური და ავტორიტარული – ისე, რომ განსხვავე-ბა აშკარა და ცალსახა იყოს, ხოლო ნებისმიერ მას-წავლებელს შეეძლოს თავად განსაზღვროს, რომელ მდგომარეობაში იმყოფება სხვადასხვა დროს.

1. უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ გონების ორი მდგომაროება.

გონების ავტორიტარული მდგომარეობა მი-უღებლობას ეფუძნება და გარეგნულად ვლინდება უარყოფაში.

გონების ჰუმანური მდგომარეობა კი მიმღებლობას ეფუძნება და გარეგნულად ვლინდება თანხმობაში.

მიმღებლობა და მიუღებლობა ვრცელდება ყვე-ლა ცხოვრებისეულ მოვლენაზე და, რა თქმა უნდა, მოსწავლეებზეც.

მიუღებლობის შემთხვევაში, მასწავლებელი ერთგვარად წინასწარგანწყობილია, უარყოფითად აღიქვას მოსწავლის ბუნება; სურს, მიიღოს მოსწავლისგან მხოლოდ ის, რაც მისთვისაა მისაღები. ამ შემთხვევაში, „მოუხერხებელი“ ან „ჰიპერაქტიური“ მოსწავლე, რომელიც მასწავლებელს არ უჯერებს და არ ემორჩილება, აღიქმება როგორც გაკვეთილის ჩატარების ხელის შემშლელი ფაქტორი. მასწავლებელი, თავისი შინაგანი მიუღებლობიდან გამომდინარე, ასკვნის, რომ მოსწავლე ხელს უშლის არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ „მოსახერხებელ“ და დამჯერ მოსწავლეებსაც. ამ დამოკიდებულებიდან მომდინარეობს მასწავლებლის მისწრაფება „დაიმორჩილოს“ მოსწავლე და „აიძულოს“ იგი, „წესიერად“ მოიქცეს გაკვეთილზე. ავტორიტარული დამორჩილებისა და იძულების ხერხებიც საყოველთაოდაა ცნობილი და ფართოდაა გავრცელებული — ხმამაღალი ბრძანებები, დაშინება, დასჯა, მშობლის გამოძახება და ა.შ.

მიმღებლობის მდგომარეობაში მყოფი მასწავლებელი კი, იგივე „ჰიპერქტიურ“ და „მოუხერხებელ“ მოსწავლესთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ეძებს პასუხს მთავარ კითხვებზე: 1) რა ფსიქოლოგიური ძალები ამოძრავებს მოსწავლეს, როცა ის ზედმეტად აქტიურია ან ცელქობს? 2) რა სახის აღზრდა ვლინდება მოსწავლეში და რა არის ამ აღზრდის წყარო?

პირველ კითხვაზე პასუხს გვაძლევს თანამედროვე ფსოქოლოგიის კანონზომიერებები. ბავშვს ამოძრავებს ისეთი შინაგანი ძალები, როგორიცაა განვითარება, სწრაფვა დიდობისკენ და სწრაფვა თავისუფლებისკენ. ეს ძალები ცალკე განხილვას საჭიროებს, თუმცა ერთი ფაქტი ნათელია – ბავშვის «ცუდი» საქციელი ხშირად მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ბავშვი ვერ იკმაყოფილებს დიდობის და თავისუფლების განცდას იმ გარემოში, რომელსაც ჩვენ მას ვთავაზობთ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიტარულ გარემოში ბავშვი ვერც „უფროსად“ გრძნობს თავს და ვერც თავისუფლებას განიცდის.

რა თქმა უნდა, ეს მიმღებლობის მდგომარეობა აუცილებელია იმისათვის, რომ მასწავლებელმა ეძებოს ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე მასწავლებელთან ურთიერთობაში თავს იგრძნობს უფროსად და დაიკმაყოფილებს თავისუფლების განცდას.

სადაც ეს მიიღწევა, იქ მოსწავლეებს უმაღლდებათ მოტივაცია, იღვიძებს შემეცნების ბუნებრივი ინტერესი. რა თქმა უნდა, ეს მეთოდები საჭიროებს მასწავლებლის შემოქმედებით მიდგომას. ჰუმანურად განწყობილ მასწავლებლებს ეს გამოსდით.

ჰუმანური პედაგოგიკის პარადიგმაში ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბავშვს ბუნებრივად აქვს მისწრაფება დიდობისკენ და თავისუფლებისკენ. ჩვენ წინასწარ ვეთანხმებით ბავშვის ბუნებას. უფრო მეტიც, ვიყენებთ ამ ბუნებრივ მისწრაფებებს მოტივაციის ასამაღლებლად.

ბავშვის ბუნების გათვალისწინება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში შესაძლებელია არა მხოლოდ ერთეული მასწავლებლისთვის, არამედ მთელი პედაგოგთა კორპუსისთვის. ამისი კარგი მაგალითია ფინეთი. ზოგიერთი ამბობს, რომ ფინური განათლებლის სისტემის დანერგვა ჩვენთან შეუძლებელი იქნება. რა თქმა უნდა, ძირეული რეფორმების გარეშე ეს ვერ მოხდება და რეფორმებსაც ფინეთში რამდენიმე ათწლეული დასჭირდა, მაგრამ მთავარი დაბრკოლება სწორედ მასწავლებლის შინაგანი მიუღებლობის განწყობაა.

მოსწავლის თავისებური ფსიქოლოგიური ბუნების ავტორიტარული მიუღებლობის შემთხვევაში, მასწავლებელი აღარ ცდილობს ბავშვის სიცელქის ახსნას მისი შინაგანი ბუნებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. მასწავლებელს ისღა დარჩენია, რომ „ჩაახშოს ბუნება“ აკრძალვებით, იძულებით და დასჯით, რათა შემდეგ შეძლოს მოსწავლის

„არასრულყოფილი ბუნების“ გაუმჯობესება ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემით.

ამგვარი მიუღებლობის მდგომარეობით მასწავლებელი არა მხოლოდ ბავშვს შორდება, არამედ სცილდება ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მიზანსაც — საკუთარი თავის სრულყოფას. ამ შემთხვევაში, თვითგანვითარება შემოიფარგლება მხოლოდ ტრენინგებზე დასწრებით, სადაც სწავლობს ბავშვის იძულების ახალ „არაძალადობრივ“ და „შერბილებულ“ ხერხებს.

მიუღებლობის ავტორიტარული მდგომარეობა ვლინდება არა მარტო ბავშვების მიმართ; ეს გულისხმობს ყველაფრის უარყოფას. შედეგად, მასწავლებელს უჩნდება მიდრეკილება „გაასწოროს“ „არასწორი ბუნების“ მატარებელი მოსწავლეებიც, „შეცდომაში და გაუგებრობაში მყოფი“ ოჯახის წევრებიც და, საერთოდ, სამყაროს „ბედის ბორბალი“, რომელიც (მიუღებლობიდან გამომდინარე) მთლიანობაში ისე არ ტრიალებს, როგორც უნდა ტრიალებდეს.

თუკი მასწავლებლის ფსიქოლოგიურ „კოკასა შიგან“ დგას მიუღებლობა, შესაბამისად, იქიდან მოსწავლის მიმართ მიუღებლობა და უარყოფა „წარმოსდინდების“. ეს პედაგოგიურ პროცესს დასჯისა და იძულების მეთოდების გამოყენებით დატვირთავს.

ამასთან ერთად, ჰუმანურ-პედაგოგიური მეთოდების მექანიკური გამოყენება მხოლოდ უარყოფით შედეგს მოგვიტანს. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა გულწრფელობისგან დაიცლება და სიყალბით აივსება. გარეგნული „თანხმობა“, შინაგანი „მიუღებლობის“ ფონზე, ზიანს მიაყენებს, უპირველეს ყოვლისა, თვით მასწავლებლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

მასწავლებლის ჰუმანური მდგომარეობა გულისხმობს მოსწავლის ბუნების უპირობო მიმღებლობას, რაც თანხმობის გრძნობებში აისახება. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი აღიარებს მოსწავლის ბუნებრივ მისწრაფებებს, იგრძნოს თავი უფროსად და განიცადოს თავისუფლება. მასწავლებელი აღიარებს იმასაც, რომ ბავშვს ამოძრავებს განვითარების ძალაც. ამ პროცესების გაუთვალისწინებლობით, მოსწავლესთან თანხმობის მიღწევა წარმოუდგენელი იქნება.

2. მიმღებლობის გარდა, ჰუმანური მასწავლებელი ატარებს მეორე მნიშვნელოვან თვისებასაც — უპირობო სიყვარულს მოსწავლის მიმართ

რა თქმა უნდა, ავტორიტარულ მასწავლებელსაც უყვარს მოსწავლეები, ოღონდ ავტორი-

ტარული სიყვარული, პირობითი სიყვარულია. პირობითობა ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი, შესაძლებელია არაცნობიერ დონეზე, ატარებს მოსწავლეთა სიყვარულისათვის საჭირო პირობებს. მაგალითად, ავტორიტარულ მასწავლებლებს უფრო მეტად უყვართ ბეჯითი, დამჯერი, მოწესრიგებული მოსწავლეები და ღიზიანდებიან, როცა მათ წინაშეა ზარმაცი, ჯიუტი და მოუწესრიგებელი მოსწავლე.

მოსწავლეთა და აღსაზრდელთა მიმართ უპირობო სიყვარულის აუცილებლობის შესახებ ლაპარაკობს პედაგოგიკის ყველა კლასიკოსი.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მათგანის გამონათქვამები.

იოჰან ჰენრიხ პესტალოცი:

„მე დავრწმუნდი, რომ კაცთმოყვარეობა აამაღლებს ყველაზე უფრო დაცემულ ადამიანსაც კი... სიყვარულში ბავშვი პოულობს განვითარების ორჯერ უფრო ძლიერ ძალას“.

იანუშ კორჩაკი:

„როგორ გიყვარდეს ბავშვი? ძლიერ, თუ უფრო ძლიერ? შეკითხვა ამაში არ არის. რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბავშვმა მასწავლებლის ერთგულება იგრძნოს?“

ვასილ სუხომლინსკი:

„პედაგოგი სიყვარულის გარეშე იგივეა, რაც მომღერალი ხმის გარეშე და მხატვარი ფერის აღქმის გარეშე. შეუძლებელია ბავშვის შემეცნება სიყვარულის გარეშე“.

რამდენიმე წლის წინ ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტული კვლევა, რომელშიც დავასაბუთეთ, რომ მოსწავლის სიყვარულის დონე მასწავლებლის მიმართ დიდ გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზე. შედეგები მართლაც გასაოცარი იყო. ჩვენ დავრწმუნდით პედაგოგიკური კლასიკის უდავო ჭეშმარიტებაში – მოსწავლე, ძალიან დიდი ალბათობით, საკმაოდ მაღალ აკადემიურ შედეგს გვაჩვენებს თუ საგნის მასწავლებელი უყვარს.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივად გვიყალიბდება მოკრძალებული რეკომენდაცია ყველა მასწავლებლისადმი – საგნის კვალიფიციურ სწავლებასთან ერთად, აუცილებელია მოვძებნოთ მოსწავლეებთან ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომ მოსწავლეებს თავი შევაყვაროთ. მასწავლებლისადმი დადებითი ემოციური დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, მოსწავლეების მოტივაციის დონესაც აამაღლებს.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები მინდა ერთი ცნობილი იგავით დავასრულო.

ერთ-ერთ ბიბლიურ პატრიარქს ღმერთი გამოეცხადა და ჰკითხა:

– რა არის ამ ქოთანში, რომელიც შენს მაგიდაზე დგას?

პატრიარქმა უპასუხა:

– ეს ქოთანი თაფლით არის სავსე.

მაშინ ღმერთმა შემდეგი კითხვა დაუსვა:

– ეს ქოთანი ვინმემ რომ გატეხოს, რა გადმოიღვრება იქიდან?

პატრიარქს გაუკვირდა და უპასუხა:

– რა თქმა უნდა, თაფლი გადმოიღვრება.

ამაზე ღმერთმა თქვა:

– გულიც ასეა. თუ ის სიყვარულითაა სავსე, იქიდან სიყვარული გადმოიღვრება მაშინაც კი, თუ მას ვინმე გატეხს.

მართლაც რომ:

„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“.

სალომე ჯაფარიძე
კლინიკური ფსიქოლოგი, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ფსიქოლოგი

ასაკობრივი განვითარების თავისებურებები

ადრეულ და შუა ბავშვობაში

„11 წლის ანას სკოლაში რიგი პრობლემები აქვს – ხშირად აცდენს გაკვეთილებს, არ ასრულებს დავალებებს, უჭირს კლასელებთან მეგობრობა. მასწავლებლის საყვედურზე მისი პასუხი ემოციური და აგრესიულია. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწყებით კლასებში ანას ქცევა სხვა ბავშვებისგან არ გამოირჩეოდა, მისი აკადემიური მოსწრება საშუალოზე მაღალი იყო, თანაკლასელებთან ურთიერთობის პროცესში კი პრობლემები არ ჰქონია“.

მოცემული მაგალითი ცხადყოფს, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას არ გულისხმობს; ის ასევე, თვისებრივი მატების პროცესია და მოიცავს ცვლილებებს სოციალურ, ემოციურ, ქცევით, აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარებში. განვითარების ყველა ეს კომპონენტი ურთიერთდაკავშირებულია და ვითარდება ერთმანეთის პარალელურად. მართალია, ბავშვობა მიიჩნევა პოტენციალების აღმოჩენის, პიროვნული ზრდისა და განვითარების პერიოდად, მაგრამ ბევრია რისკი და გამოწვევაც. პირველი რგოლი, რომელიც ჩართულია ბავშვის საჭიროების დაკმაყოფილების პროცესში, არის ოჯახი, უპირატესად კი მშობლები, მაგრამ ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში მოხვედრისთანავე, ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება მასწავლებელიც. ზემოაღნიშნული ცვლილებების საპასუხოდ, ასაკობრივი განვითარება პირობითად იყოფა 3 ეტაპად:

1. ადრეული ბავშვობა (დაბადებიდან 5 წლამდე);
2. შუა ბავშვობა (6-დან 12 წლამდე);
3. მოზარდობა (13-დან 18 წლამდე).

ასაკობრივი განვითარების თითოეულ ეტაპზე, მასწავლებლის როლი განუსაზღვრელია და ბავშვის განვითარების თავისებურებებთან ერთად იცვლება მისი ფუნქციები და ვალდებულებებიც.

ადრეული ბავშვობა

საბავშვო ბაღი არის საგანმანათლებლო სისტემის პირველი ეტაპი და იგი ემსახურება ბავშვის განვითარებასა და ინტეგრაციას, საბოლოო ჯამში კი – სასკოლო მზაობის ჩამოყალიბებას. სწორედ



სკოლამდელ პერიოდში იძენს ბავშვი ახალ პასუხისმგებლობებს, ვალდებულებებს, შესაძლებლობებს, ცოდნასა და გამოცდილებას; სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება და საფუძველი ეყრება ბავშვის პიროვნებას. ფორმირებას იწყებს მორალური, სოციალური და კულტურული ქცევა. თუმცა, მეორე მხრივ, ბავშვის გადასვლა ოჯახიდან საბავშო ბაღის სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სტრესული მოვლენაა როგორც ბავშვის, ასევე მისი მშობლების ცხოვრებაში. ამ ტრანზიტულ ეტაპზე ბავშვი ტოვებს კომფორტის ზონას – სახლს და შედის მისთვის სრულიად უცხო გარემოში, სადაც უწევს გაუმკლავდეს ცვლილებებს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დონეზე. იცვლება მისი ძილის, კვების რუტინა, იცვლება დღის წესრიგი. ხოლო ის თუ როგორ ადაპტირდება ბავშვი ახალ სივრცეში, როგორ მიიღებს სიახლეებს, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასწავლებელზე, მის ცოდნასა და გამოცდილებაზე.

რას ნიშნავს სკოლამდელი ასაკი? როგორია სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები? რა უნარებს იძენს ბავშვი ამ პერიოდში? ზოგადად, რა გამოწვევებია სკოლამდელი ასაკის ბავშვთან მუშაობის პროცესში? ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლებზე პასუხებიც საბავშვო ბაღის მასწავლებელს უადვილებს მუშაობის პროცესს და საშუალებას აძლევს, მართოს კრიზისები.

დავიწყოთ იმით, ვინ არის და რას წარმოადგენს ბავშვი 3 წლის ასაკში. „3 წლის ბავშვი არის პატარა ინდივიდი. მას აქვს ისტორია, ცოდნა და საკუთარი, არც თუ ისე მცირე გამოცდილება. აქვს ინტერესების სფერო, რომელიც მხოლოდ მას ეხება და სახლი, სადაც ყველა და ყველაფერი მას ემორჩილება“.

ფიზიკური განვითარება

ფიზიკური განვითარების დონეზე მისი სიმაღლე დაახლოებით 60-90 სმ., წონა 13-16 კგ. ამ პერიოდში იგი სწავლობს ბალანსის დაცვას, უმჯობესდება კოორდინაციის უნარი; ვითარდება მსხვილი მოტორული უნარები, როგორიცაა ხტუნვა, სირბილი. 3 წლის ასაკისთვის ტიპური განვითარების ბავშვმა იცის და შეუძლია გამოიყენოს 900-დან 1000-მდე სიტყვა. ბავშვების უმეტესობა მეტყველებს კარგად, იყენებს მხოლობით და მრავლობით ფორმებს, ასხვავებს პირის ნაცვალსახელებს, თუმცა გრამატიკულად გამართულად ჯერ კიდევ ვერ საუბრობს.

პიროვნული განვითარება

რაც შეეხება მის პიროვნებასა და თვისებებს, სკოლამდელ პერიოდში ბავშვის ძირითადი მოტივი და სურვილია, დაიმსახუროს მშობლისგან შექება, მოწონება; უკვე შეუძლია მარტო თამაში, საკუთარ ქცევებზე გაცინება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არჩევს სქესთაშორის განსხვავებებს, თავისუფლად თამაშობს ორივე სქესის წარმომადგენლებთან. სკოლამდელ ასაკში ბავშვი ეგოცენტ-

რულია; მისთვის ძალიან რთულია გაიგოს, რომ სხვა ადამიანები მასავით არ ფიქრობენ, ამიტომ ძალიან ბევრს ტირის და იტანჯება, როდესაც მისი არ ესმით. ცდილობს სიტყვების გამეორებას, რომ მისი სათქმელი უფრო ნათელი გახდეს. განვითარების ამ ეტაპს მეცნიერები აღწერენ, როგორც 3 წლის ასაკის კრიზისს, როდესაც ბავშვის ემოციები მოზღვავებულია; გამძაფრებულია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შინაარსის გრძნობები – ბრაზი, შიში, იმედგაცრუება, სევდა. მასწავლებლისთვის ნიშანდობლივია ახსოვდეს, რომ მომეტებული აგრესია და სიბრაზე ბავშვებში უმეტესად გამოწვეულია დედასთან განშორებით, მიტოვებულობის შეგრძნებით.

ინტელექტუალური განვითარება

რაც შეეხება ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას, სკოლამდელ ასაკში წამყვანია იმიტაცია და სიმბოლური რეპრეზენტაცია. ბავშვს ხიბლავს ყველაფერი, რაც ფერადია. ნიშანდობლივია, რომ ახალი ინფორმაციის მიღების პროცესში ჩართული იყოს რამდენიმე სენსორული არხი. მაგალითად, როდესაც მასწავლებელი ჰყვება ისტორიას, დამახსოვრება მარტივდება თუ წარმოდგენილი იქნება ილუსტრაციებიც. მნიშვნელოვანია მასწავლებელს ახსოვდეს, რომ სკოლამდელ ასაკში დასწავლის ძირითადი ფორმა არის თამაში. ბავშვი თამაშის მეთოდით ითვისებს ახალ ინფორმაციას, იწყებს მეცადინეობას, ეცნობა გარე სამყაროს. წინა სასკოლო ასაკში წარმოსახვა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე განვითარებული, როლური თამაშები კი ბავშვს აძლევს იმიტაციის საშუალებას, ანიჭებს დამოუკიდებლობის შეგრძნებას. უშუალოდ საბავშვო ბაღის სივრცეში როლური თამაშები ბავშვს ეხმარება ინტეგრაციასა და ადაპტაციაში. მას შეუძლია, წარმოიდგინოს და გაითამაშოს მისთვის სასურველი სცენარები (მაგალითად, დედა ადრიანად აკითხავს ბაღში და მიჰყავს სახლში). ზემოაღნიშნულ გათამაშებებს ბავშვისთვის მოაქვს შვების შეგრძნება, ამავე დროს, იგი ივითარებს ინტელექტუალურ და მეტყველების უნარებს, ამყარებს კომუნიკაციას და სწავლობს ემოციების კონტროლს.

სოციალური ხატის განვითარება

სკოლამდელ ასაკში ბავშვი ემოციურად და ფიზიკურად მიჯაჭვულია დედაზე. საბავშვო ბაღის სივრცეში მოხვედრისას კი მისი სოციალური წრე ფართოვდება; მის ცხოვრებაში მასწავლებლის სახით ჩნდება ახალი ავტორიტეტი, თანატოლები კი გავლენას ახდენენ მის ქცევაზე. თანამედროვე მიდგომებით, ოჯახი არის ბავშვისთვის პირველი საორიენტაციო გარემო და მისი როლი ბავშვის განვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მის ირგვლივ არსებული სოციალური გარემო და განათლება. საგანმანათლებლო სისტემაში მოხვედრისას, ბავშვი აღარ არის მხოლოდ მშობლების პასუხისმგებლობა და პირველივე დღიდან პასუხისმგებლობა „იხლიჩება“ მშობელსა და მასწავლებელს შორის. საბავშვო ბაღის ფუნქციაა მშობლის როლის შევსება და არა მისი ჩანაცვლება. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ გარემოს შეცვლა, რაც მოიცავს: ოჯახისგან შორს ყოფნას, სასწავლო პროგრამას, ძილისა და კვების რუტინას, ზოგიერთი ბავშვისთვის შეიძლება იყოს ტრავმისა და „ინსტიტუციური შოკის“ გამომწვევიც კი. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი მასწავლებელს ენიჭება. მან უნდა გააანალიზოს და შეისწავლოს ყველა ის ფაქტორი, რაც პოზიტიურად თუ ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, მიიღოს ბავშვი მისი უნიკალური თვისებებით, მიუხედავად ასაკისა და პიროვნული თავისებურებისა.

საბავშო ბაღი არის საგანმანათლებო ინსტიტუციასთან პირველი შეხება, სადაც მასწავლებელი

ბავშვს უვითარებს არა მხოლოდ ინტელექტუალურ უნარებს, არამედ საფუძველს უყრის მის მორალურ, სოციალურ ღირებულებებსაც. ბავშვი ეტაპობრივად ეჩვევა დისციპლინას, წესების მიმართ მორჩილებას და, რაც მთავარია, ემზადება ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდისთვის – სკოლისთვის.

შუა ბავშვობა

როდესაც ბავშვის განვითარების ძირეულ ცვლილებებზე ვსაუბრობთ, როგორც წესი, გვახსენდება 3 წლამდე პერიოდი, თუმცა, ბავშვის განვითარების თანამედროვე თეორიების თანახმად, შუა ბავშვობის ასაკში აღმოცენებული გამოწვევები არანაკლებ საყურადღებოა. აღნიშნული პერიოდი იწყება 6 წლის ასაკიდან, გრძელდება 11 წლამდე და მოიცავს ძირეულ ცვლილებებს ბიოლოგიურ, სოციალურ და კოგნიტურ სფეროებში.

როგორ აფასებენ ადამიანები შუა ბავშვობაში სკოლაში მიღებულ გამოცდილებას ამერიკაში



მოცემული დიაგრამა აჩვენებს, რომ ადამიანების 35% ამ პერიოდში მიღებულ გამოცდილებას აფასებს ნეგატიურად. კვლევების მიხედვით, 6 წლის ასაკი ერთ-ერთი ყველაზე კრიზისული პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში, რადგან ამ დროისათვის სრულად იცვლება მისი დღის წესრიგი. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ბავშვობაში მას უკვე ჰქონდა შეხება პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან – საბავშვო ბაღთან, 6 წლის ასაკში ბავშვი შედის სკოლაში, თამაშიდან გადადის დასწავლის აქტივობაზე. მისგან ითხოვენ, აკეთოს ის, რაც ნაკლებ სასიამოვნოა. მართალია, სასკოლო მზაობის ჩამოყალიბება იწყება საბავშვო ბაღის სივრცეში – იქნება ეს აზროვნებისა და შემეცნების სფეროს თუ ემოციური და ნებელობითი სფეროს მზაობა, მაგრამ ის თუ როგორ ადაპტირდება ბავშვი სკოლაში, როგორ გაუმკლავდება არსებულ გამოწვევებს, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასწავლებელზე.

საერთაშორისო კვლევების თანახმად, შუა ბავშვობაში მიღებული ნეგატიური გამოცდილება, მისი ინტერესების უგულებელყოფა და მისდამი შეუსაბამო მოლოდინები, ზრდასრულობაში იწვევს ემოციურ და ქცევით პრობლემებს. ასევე, კვლევებით დგინდება, რომ მოსწავლეები, რომლებიც თავს არ გრძნობენ კომპეტენტურად აკადემიურ და სოციალურ სფეროებში, უფრო ხშირად იტანჯებიან დეპრესიითა და სოციალური იზოლაციით ზრდასრულობაში. მოცემული კვლევები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საგანმანათლებლო სექტორში დასაქმებული პირების, უპირატესად კი, მასწავლებლების მნიშვნელობას ბავშვის ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნის მდგომარეობის მიღწევაში.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს შუა ბავშვობის სირთულეებთან და გამოწვევებთან გამკლავება, მნიშვნელოვანია, კარგად ესმოდეს ამ პერიოდის სპეციფიკა და თავისებურებები. თუ გადავხედავთ არსებულ ლიტერატურას, ვნახავთ, რომ შუა ბავშვობის მნიშვნელობა დიდი ხნის განმავლობაში სათანადოდ არ იყო შეფასებული და მიიჩნეოდა ტრანზიტულ ეტაპად - გადასვლა საბავშო ბაღიდან სასკოლო სივრცეში. მკვლევართა ნაწილი კი, ჰუბერტატის ასაკამდე დამდგარ „სიმშვიდის“ სტადიად მოიხსენიებდა. ერიკ ერიქსონი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც აღწერა შუა ბავშვობის კრიზისები და ხაზი გაუსვა 7-დან 11-წლამდე პერიოდს, როგორც ქცევითი, აკადემიური და ფსიქოლოგიური სირთულეების სტადიას.

კოგნიტური სფერო

პირველი მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც განიცდის ცვლილებებს შუა ბავშვობის პერიოდში, არის კოგნიტური სფერო და 6 წლის ასაკი ამ მხრივ ყველაზე გამორჩეულია. ბავშვის განვითარების ყველა ცნობილი თეორია მიუთითებს, რომ სწორედ 6 წლის ასაკში იწყებს ბავშვი სამყაროს არსის შეცნობას. აქედან გამომდინარე, ყველა კულტურაში სასკოლო ასაკი მერყეობს 5-დან 7 წლამდე პერიოდში, როდესაც განვითარებას იწყებს კონცეპტუალური აზროვნების უნარები. სწორედ ამ ტრანზიტულ ეტაპზე იძენს ბავშვი ისეთ ფუნდამენტურ უნარებს, როგორიცაა წერა და კითხვა, მარტივი არითმეტიკა. ასევე, ყალიბდება თვითცნობიერება, ბავშვი სწავლობს საკუთარი თავის შეცნობას, შეუძლია საკუთარი ძლიერი და უარყოფითი მხარეების იდენტიფიცირება, ცდილობს მომავალი ნაბიჯების დაგეგმვას, იწყებს დაკვირვების მეთოდის გამოყენებას და აანალიზებს საკუთარ წარმატებულ თუ წარუმატებელ ქცევებს. შუა ბავშვობის მიწურულს კი იკლებს ეგოცენტრულობის ხარისხი და ბავშვი სწავლობს მოვლენების სხვისი პერსპექტივიდან აღქმას.

სოციალური სფერო

შემდეგი სფერო, სადაც მნიშვნელოვან ცვლილებებს აქვს ადგილი, არის სოციალური სფერო. შუა ბავშვობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების დამოკიდებულებები. ნელ-ნელა მნიშვნელოვანი ხდება სოციალური წრე, გარშემომყოფები, ბავშვისთვის აუცილებელია უფროსის შექება და შეფასება. თუ სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ძირითადი ავტორიტეტი იყო დედა, დაწყებით კლასებში კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება მასწავლებლის როლი და ის თუ როგორ აფასებს მასწავლებელი მის შესაძლებლობებს. ასევე, წინა პლანზე გამოდის ჯგუფში ჩართულობისა და ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნება. ურთიერთობებში წამყვანი პრინციპი ხდება „ჩვენ და სხვები“.

ფსიქო-ემოციური სფერო

ამ კოგნიტური და სოციალური ცვლილებების პარალელურად, მნიშვნელოვანი ძვრებია ბავშვის ფსიქო-ემოციურ სფეროში. ზემოხსენებული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად ყალიბ-

დება ბავშვის, მისი მომავალი პიროვნების თვითშეფასება, იგი სწორედ ამ პერიოდში სწავლობს თვითკონტროლსა და თვითრეგულაციას. სკოლაში შესვლისას, ბავშვი განიცდის ურთიერთსაპირისპირო გრძნობებს. ერთი მხრივ, იზრდება თავისუფლების ხარისხი, მაგალითად, მას ნებას რთავენ დამოუკიდებლად გადაადგილდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მეორე მხრივ კი, მშობლები, მასწავლებლები მისგან „მოითხოვენ“ იყოს „კარგი“, პატივი სცეს უფროსებს, იმეგობროს თანატოლებთან, სხვა სიტყვებით, ბავშვისგან მოელიან აკონტროლოს საკუთარი ქცევა და დაემორჩილოს არსებულ წესებს. ასევე, ბავშვის ფსიქო-ემოციურ სფეროზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლასის ჰომოგენურობა ასაკობრივი ნიშნით. ბავშვი მიჩვეულია, რომ ოჯახის წვერები განსხვავდებიან ასაკის მიხედვით და ასაკი გარკვეულ გავლენასაც ახდენს როლების გადანაწილებაზე. თუმცა, სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია საკლასო სივრცეში. კლასის ჰომოგენური ხასიათი განაპირობებს უშუალოდ ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებზე კონცენტრირებას. მოსწავლეები ერთმანეთს ედრებიან უნარებით, არსებული კომპეტენციებით. სოციალური შედარების შედეგად, ბავშვის ყველა ქცევა, წარმატებული თუ წარუმატებელი, ხდება საჯარო, რაც ხშირად შეიძლება იყოს იმედგაცრუების, არაკომპეტენტურობის შეგრძნების საფუძველი.

საზოგადოდ აღიარებულია, რომ მასწავლებლის ძირითადი დანიშნულებაა, მისცეს ბავშვს სათანადო ცოდნა და განათლება, ხელი შეუწყოს მოსწავლის ფსიქო-ემოციურ ზრდას, მაგრამ შუა ბავშვობის თავისებურებების აღწერა გვარწმუნებს, რომ რეალური სურათი საკმაოდ რთული და ქაოსურია. მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან შესაძლებლობების, მოტივაციისა და ინტერესების მიხედვით. მაშინ როგორ უნდა შეძლოს მასწავლებელმა დასახული მიზნის მიღწევა თითოეული ბავშვის შემთხვევაში? დავიწყოთ იმით, რომ აკადემიური მიღწევა და წარმატება ვაკუუმში არ ყალიბდება და მასზე გავლენას ახდენს ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა მოტივაცია და სელფ-კონცეფცია. ჩვეულებრივ, 6 წლის ასაკში ბავშვი ოპტიმისტია. იგი, ასევე, ოპტიმისტურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, მათ შორის სასკოლო

დავალებებთან დაკავშირებულს. მაგალითად, პირველკლასელთა უმეტესობა კითხვაზე – როგორია მათი კომპეტენცია მათემატიკაში, კითხვაში, მუსიკასა თუ სპორტში, საკუთარ შესაძლებლობებს აფასებს უმაღლესი ქულით. თუმცა, როგორც წესი, მათ შეფასებასა და რეალურ მოცემულობას შორის ლოგიკური კავშირი არ არსებობს. იგივე კითხვაზე პასუხი 10 წლის ასაკისთვის რადიკალურად იცვლება. ოპტიმიზმის დონე საგრძნობლად იკლებს და კავშირი დავალების შესრულების ხარისხსა და ბავშვის შეფასებას შორის იზრდება. კვლევებით მტკიცდება, რომ წარმატების მოლოდინი დაწყებითი კლასების განმავლობაში ნელ-ნელა მცირდება, რაც საბოლოოდ აისახება დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. ნიშანდობლივია დაისვას კითხვა თუ როგორია მასწავლებლის როლი ამ შემთხვევაში და რა ასპექტებზე უნდა გაამახვილოს მან ყურადღება?

პირველ რიგში, საჭიროა გაითვალისწინოს, რომ დაწყებით კლასებში ბავშვებში ძალიან ხშირად იჩენს თავს „პერფექციონიზმი". მოსწავლეები მაქსიმალურად მომთხოვნები არიან საკუთარი თავის მიმართ და სენსიტიურად რეაგირებენ შეცდომებზე. წარუმატებლობის შიშით, შესაძლოა უარი თქვან დავალების შესრულებაზე. ამ დროს მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ასწავლოს ბავშვს შეცდომის ნორმალიზება, ხაზი გაუსვას ყველა წარმატებულ ქცევას. ბავშვების უნარები იზრდება ძალიან სწრაფად, ამიტომ წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათთვის საკმაოდ რეალურია დაიჯერონ, რომ დავალება, რომელსაც დღეს ვერ ასრულებენ, ხვალ შესაძლოა ძალიან მარტივად გამოუვიდეთ. ასევე, ბავშვები დაკვირვების მეთოდით სწავლობენ, რომ კომპეტენციები იზრდება ასაკთან ერთად და შეიძლება დროთა განმავლობაში მათაც გააუმჯობესონ შედეგები. ბოლოს კი მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ ბავშვს უნდა აინტერესებდეს შეთავაზებული აქტივობები.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ბავშვის განვითარება საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი პროცესია. ადრეული და შუა ბავშვობის პერიოდში ძირეულ ბიოლოგიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს აქვს ადგილი და ის თუ როგორ გადალახავს ბავშვი ამ ეტაპებზე აღმოცენებულ გამოწვევებს, გამოვლინდება ჰუბერტატის ასაკში და ასევე, აისახება ცხოვრების ხარისხსა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნაზე მომავალში. რაც შეეხება მასწავლებელს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მისი როლი, მშობლის პარალელურად, შეუფასებელია ბავშვის არა მარტო აკადემიური, არამედ სოციალური და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებაში. თუმცა, ნიშანდობლივია არ დაგვავიწყდეს, რომ ისევე, როგორც არ არსებობს იდეალური მშობელი, არ არსებობს იდეალური მასწავლებელი. შეცდომების დაშვება აღმზრდელობით პროცესში გარდაუვალია, თუმცა აუცილებელია, მასწავლებელმა პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას, ასწავლოს მას მარცხთან გამკლავება და დაეხმაროს ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენასა და განვითარებაში.

„ფაქტი, რომ ღელავ იმაზე თუ რამდენად კარგი მასწავლებელი ხარ, ნიშნავს იმას, რომ უკვე გახდი კარგი მასწავლებელი!" – Jodi Picoult.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. C.Tripon, Integration of the child in kindergarten from a psychological perspective, 2014;
2. C. Manik Manas, A Study Of Childhood Development In Early Stage, 2020;
3. Iynne S Eccles, The Development of Children Ages 6 to 14, 2001;
4. თ. გაგოშიძე, შუა ბავშვობა (6–11 წლის ბავშვის ასაკობრივი განვითარება, აღზრდა და სწავლება), 2017;
5. ი. აფთარაშვილი და სხვ.; საბავშო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2017;
6. ლ. ბერკი, ბავშის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

მარიამ ბეგიაშვილი

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სოციალური მუშაკი

როგორ ამოვიცნოთ

მსხვერპლი ბავშვი

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, იცვლება ზოგადი წარმოდგენა ძალადობის არსის შესახებ. ცოდნის, ინფორმაციის, რეაგირების მექანიზმების დახვეწისა და განვითარების მიუხედავად, ბავშვთა მიმართ ჩადენილი ძალადობის მაჩვენებელი რადიკალურად არ შემცირებულა. მასწავლებელი არის მოსწავლის, სკოლისა და საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელი რგოლი; სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის როლი ძალადობის ამოცნობისა და რეაგირების პროცესში.

სასკოლო სივრცეში გავრცელებული ძალადობა არის ჩაგვრა არასრულწლოვანთა შორის. ის დამახასიათებელია ორგანიზებული ბავშვთა კოლექტივისთვის. აღნიშნული ხშირია სასკოლო სივრცეში. სასკოლო ტერორი, იგივე ბულინგი არის ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელსაც თანაკლასელები ან სხვა ბავშვები მიმართავენ ბავშვის დასაშინებლად ან დასამორჩილებლად. ბულინგი მძაფრად ვლინდება 9-10 წლის ასაკიდან და ის გვხვდება როგორც ბიჭებში, ისე გოგონებში. სასკოლო სივრცეში ვხვდებით მაღალი რისკის კატეგორიას, აღნიშნული ჯგუფის მახასიათებლებია:

- აგრესიული ქცევა თანატოლებთან;
- გამომწვევი ქცევა უფროსებთან და თანატოლებთან;
- სპონტანური რეაგირება მოვლენებზე;
- დანაშაულის განცდის უნარის დაქვეითება;
- ყურადღების მიქცევის ზედმეტი სურვილი;

შესაძლო ბულერები სხვა ბავშვებს არქმევენ მეტსახელებს, დასცინიან, ემუქრებიან, ართმევენ ნივთებს, ძალადობენ ფიზიკურად. ბულინგის ადგილი ხშირად არის სასკოლო სივრცე ან სკოლის ახლო ტერიტორია.

ბულინგის დროს მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია – მის მიერ უნდა მოხდეს სწორი რეაგირება. დაზარალებული ბავშვის დასახმარებლად მასწავლებელს შეუძლია:

- ბულინგის შემთხვევის განხილვა. ბავშვს მისცეს საშუალება, მოჰყვეს რაც მოხდა, რას გრძნობს. იყოს ემპათიური და მხარდამჭერი.

- ბავშვთან ერთად შეადგინოს უსაფრთხოების გეგმა:
  1. იმსჯელოს, როგორ აარიდოს ბავშვმა თავი მსგავს სიტუაციებს;
  2. განსაზღვროს, როგორ მოიქცეოდა ბავშვი, ტერორი რომ გაგრძელებულიყო;
  3. ბავშვთან ერთად განსაზღვროს, თუ ვის უნდა უამბოს ბავშვმა ძალადობის შესახებ;
- პროცესში ჩართოს ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები;
- დაუკავშირდეს ბავშვის მშობელს.

მნიშვნელოვანია, მოხდეს ბულინგის ინიციატორი ბავშვის დახმარებაც. ხშირ შემთხვევაში, მოძალადეებად მშობლებისგან, სხვა ბავშვებისგან, უფროსი და-ძმისგან დაჩაგრული ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვაზე გადააქვთ. მასწავლებელთა ქცევა ბულერთან ურთიერთობისას:

- ბავშვისთვის გასაგებად აღწეროს მისი ქცევა და აუხსნას, რას ნიშნავს ეს საქციელი;
- მშვიდად აუხსნას აგრესორს თუ რა გავლენას ახდენს მისი ქცევა სხვა ბავშვზე;
- გაარკვიოს თუ როგორ ესმის აგრესორს აღნიშნული ქცევა;
- აუხსნას მისი პასუხისმგებლობა აღნიშნულ ქცევაზე;
- თუ ვერ ხერხდება აგრესორის შეჩერება, უნდა იქნეს მიღებული სხვა ზომები.

მნიშვნელოვანია, სასკოლო სივრცეში მოხდეს მოსწავლის ქცევის სწორად მართვა და სასკოლო დისციპლინის დაცვა.

მნიშვნელოვანია კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვა. განხილვისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს რა მოხდა და რა როლი შეასრულა ინციდენტში მონაწილე თითოეულმა ბავშვმა.

ბულინგის (Bulling) შედეგები:

- ძალადობაგანცდილი ბავშვი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდეს შიშსა და შფოთვას; თავს დამცირებულად ან დათრ-

გუნულად გრძნობდეს. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის.

- ზოგჯერ ბულინგი სერიოზული ფიზიკური ტრავმებით ან ლეტალურადაც მთავრდება.
- ბულინგში ჩართული ბავშვები ხშირად აგრესიის გამოვლენის კრიმინალურ ფორმებს მიმართავენ.
- ბულინგის ინიციატორი ბავშვები თავიანთი აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად ცხოვრების კრიმინალურ გზას ირჩევენ.
- ტრავმა შესაძლოა იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლები არ არიან, თუმცა არიან ტერორის ფაქტის შემსწრენი.
- ბულინგის შედეგად მიღებულმა ძლიერმა ემოციურმა ტრავმამ შესაძლოა, ბავშვი სუიციდამდე მიიყვანოს.

როგორ ამოვიცნოთ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი?

საფრთხის ნიშნებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- სხვადასხვა ფერის ჩალურჯებები ბავშვის სხეულზე მიუთითებს, რომ ისინი მიღებულია სხვადასხვა დროს; ჩალურჯებების ფორმა ან ადგილი შეიძლება მიუთითებდეს თუ როგორ იქნა მიღებული ტრავმა, რა საგანი იქნა გამოყენებული;
- არ იცის ბავშვმა თუ როგორ მიიღო ტრავმა; ამბობს, რომ არ იცის როგორ მიიღო ესა თუ ის ტრავმა;

- განმარტებები ნაკლებად სარწმუნოა;
- ბავშვს არ გაეწია შესაბამისი დახმარება.

ყურადღების გამახვილებაა საჭიროა როდესაც:

- ბავშვს ეშინია, როცა გვერდით ვინმე ტირის;
- ბავშვი ფრთხება სხვა ადამიანის მოულოდნელ მოძრაობაზე, თავზე ხელებს იფარებს, გვერდით გადის;
- ბავშვს აშინებს მოულოდნელი ხმები;
- ბავშვი აგრესიული, გაღიზიანებული ან გაუცხოებულია;
- ბავშვი ზედმეტად დამჯერე, მორჩილი ან პასიურია, არ აქვს ინიციატივები;
- არ სურს სახლში წასვლა, ეშინია მშობლების;
- ბავშვს სეზონისთვის შეუსაბამო ტანსაცმელი აცვია;
- გაურბის შეხებას, განსაკუთრებით უფროსებთან;
- აქვს მეტყველების დარღვევა;
- აქვს თავის, მუცლის ტკივილები, გულისრევა, გულის წასვლა;
- ბავშვს აქვს შარდის შეუკავებლობა;
- თავდაჯერებულობის ნაკლებობა, ძალიან დაბალი თვითშეფასება, მარტოობისკენ მიდრეკილება;
- ბავშვი განსაკუთრებით ხშირად ტყუის;
- ბავშვი ფიზიკურად სუსტად განვითარებულია;
- ბავშვი გარეგნულად მოუწესრიგებელია;
- აქვს კბილებისა და პირის ღრუს დაავადებები;
- ბავშვი ხშირად დაღლილია, უჭირს ყურადღების კონცენტრირება, ეძინება;
- ბავშვი ხშირად მშიერია;
- სკოლას ხშირად აცდენს;
- ბავშვს ახასიათებს წვრილმანი ქურდობა;
- ელემენტარულ დონეზე არ იცავს ჰიგიენას;
- ბავშვს აკითხავს არა ფხიზელი ადამიანი/ადამიანები (ხშირად იცვლებიან).

თუ ბავშვი ძალადობას მშობლისგან განიცდის, მისი ამოცნობა მშობელზე დაკვირვებითაც შეგვიძლია. ასეთი მშობლები პრობლემას უარყოფენ, ბავშვს ადანაშაულებენ, ბავშვით არ ინტერესდებიან, არ ინტერესდებიან თუ როგორ გრძნობს თავს ბავშვი, უარს ამბობენ დახმარებაზე.

ბავშვზე ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა ადრეული ქორწინება/ქორწინების იძულება. აღნიშნულის შემთხვევაში, არასრულწლოვანს ხშირად ხელი აღარ მიუწვდება განათლებაზე და ხდება თითქმის ყველა სახის ძალადობის მსხვერპლი.

2017 წლის 1 იანვრიდან ქორწინების დასაშვებ ასაკად 18 წელი ითვლება, თუმცა, საქართველოში 18 წლამდე გოგონათა ქორწინების შემთხვევები საკმაოდ მაღალია. 18 წლამდე ქორწინების შემთხვევაში, გოგონები, დიდი ალბათობით, შეიძლება გახდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი. ასევე, მათ უფრო ხშირად აღენიშნებათ სექსუალური ძალადობის და პოსტ-ტრამვული გამოცდილების ნიშნები: ღრმა დეპრესია, უიმედობა, უსუსურობა და ა.შ..

ბავშვთა ქორწინება წარმოადგენს სექსუალური ძალადობის სახეს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება შეიძლება ამას არ აღიარებდეს. ხშირად ქორწინება გოგონების ოჯახების ხელშეწყობით იგეგმება და ხდება მათი მხრიდან ბავშვზე ზეწოლა. ვინაიდან არასრულწლოვანთა ქორწინება სისხლის სამართლის დანაშაულია, აღნიშნული ფაქტის იდენტიფიცირებისას, მყისიერად უნდა მოხდეს შესაბამისი ორგანოების ინფორმირება.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან ურთიერთობისას, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- ბავშვის ასაკი;
- მეხსიერება;
- ემოციური მდგომარეობა;
- ფიზიკური მდგომარეობა;

- საუბრისათვის მზაობა;
- განვითარების დონე;
- გამოცდილება, ცოდნა;
- ბავშვის კავშირი სავარაუდო მოძალადესთან;
- მომხდარის ზეგავლენა ბავშვზე.

ძალადობის პრევენცია

ბავშვზე ძალადობის შემთხვევის პრევენცია უნდა განხორციელდეს 3 დონეზე:

- **პირველი დონე** – საყოველთაო პრევენცია, რომელიც მიმართულია საზოგადოების მთელ სპექტრზე;
- **მეორე დონე** – მიზნობრივი პრევენცია, რომელიც მიმართულია ჯგუფზე, სადაც ბავშვზე ძალადობის ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორი არსებობს;
- **მესამე დონე** – ინდივიდუალური პრევენცია, რომელიც მიმართულია ისეთ ოჯახებზე ან სხვა ადგილებზე, სადავ ბავშვზე ძალადობა ხდება; მიზანია ძალადობის განმეორებისგან ბავშვის დაცვა.

პირველი დონის – საყოველთაო პრევენციის მიზანია:

- მშობლების/ფაქტობრივი მზრუნველების ცოდნის გაფართოება – ინფორმაციის მიწოდება ბავშვის განვითარების ძირითადი პროცესებისა და თითოეული ეტაპისთვის დამახასიათებელი თავისებური ქცევის შესახებ.
- ბავშვებსა და მშობლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერების ხელშეწყობა;
- მშობლებისთვის სტრესის მართვის სტრატეგიების სწავლება, განსაკუთრებით მშობლებისთვის, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე შვილებს უვლიან.
- მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახის მართვა-გაძღოლის მიმართულებით;

- საზოგადოების ყველა წევრისთვის სამედიცინო და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მეორე დონის – მიზნობრივი პრევენციის მიზანია:

- მშობლების ცოდნის გაღრმავება, რათა მათ შეძლონ და გააცნობიერონ, რა გავლენას ახდენს მათი ბავშვობის დროინდელი გამოცდილება მათ, როგორც მშობლების, ქცევაზე.
- ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობის მოწესრიგება;
- მშობლების დაკავშირება იმ სერვისებთან, რომლებიც მიმართულია ბავშვისა და მშობლის სპეციფიკური პრობლემის მოგვარებაზე;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების მშობელთა დახმარება სტრესთან გამკლავებაში;

- საზოგადოების ყველა წევრისთვის სამედიცინო და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მესამე დონის – ინდივიდუალური პრევენციის მიზანია:

- ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ბავშვისთვის საცხოვრებელი გარემოს შეცვლით ან მოძალადის დაკავებით, ბავშვზე ძალადობისა და მისი უგულებელყოფის განმეორების შემცირება;
- მშობლების მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების შემცირება;
- ძალადობით მიღებული ზიანის შემცირება;
- ოჯახის დაკავშირება დამცავ და საჭირო სერვისებთან;
- მშობლების დაკავშირება თემში არსებულ დამხმარე სამსახურებთან/სერვისებთან.

ძალადობის გამოვლენაზე პასუხისმგებელი ორგანოები – დანართი 2 და რეფერირების პროცედურები

ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა და რეაგირება ევალებათ შემდეგ საჯარო უწყებებს:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებები და მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
- საგანმანათლებლო და სკოლის გარეშე სახელოვნებო, სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები და მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- საქართველოს პროკურატურა;
- მუნიციპალიტეტის მერია/გამგეობები;
- საბავშვო ბაღები;
- სამედიცინო სერვისის მიმწოდებლები;
- ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრები;
- ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, რეაგირება ევალება ყველას!

ბავშვზე ძალადობის თაობაზე ინფორმაციის შეტყობინების მიზნით, მოქმედებს შემდეგი სატელეფონო „ცხელი ხაზი“:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზი“ – 15-05;
- სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის „ცხელი ხაზი“: 2 405 222;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი“ – 2 116-006;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი“ – 2 100 229;
- საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერი – 112;
- ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი – 111.

დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას/დაწესებულებას „ცხელ ხაზზე“ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია,

ბავშვზე ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, „ცხელი ხაზ(ებ)ის“ მეშვეობით შესაძლებელია, სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის ან შესაძლო ძალადობის შესახებ.

ბავშვებისთვის

თუ ფიქრობთ, რომ:

- თქვენ ან თქვენს მეგობარს გჩაგრავენ
- თქვენზე ძალადობენ უშუალოდ ან სოციალური ქსელისა და ტელეფონის საშუალებით, გემუქრებიან, გეხებიან უხეშად, დაგცინიან

თუ თავს გრძნობთ:

- მარტო, გარიყულად, დაუცველად, დათრგუნულად
- თქვენი არავის ესმის

თუ ხშირად:

- ხვდებით ისეთ სირთულეებს, რომლის გადალახვაც გიჭირთ
- გაქვთ კონფლიქტები თანატოლებთან ან ოჯახის წევრებთან

ასეთ შემთხვევაში მიმართეთ მშობელს, მანდატურის სამსახურს, მასწავლებელს, პოლიციას.

დარეკეთ:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზი“ – 15-05;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ცხელი ხაზი – 2 200 220 (3335)
- სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის „ცხელი ხაზი“: 2 405 222;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი“ – 116-006;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი“ – 2 100 229;
- საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერი – 112;
- ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი – 111.

ზოგადად:

- იყავით ყურადღებიანი, მზრუნველი სხვების მიმართ;
- დაეხმარეთ მას, ვისაც ჩაგრავენ;
- თქვენ შეგიძლიათ სხვების გამხნევება;
- სხვებს შეუძლიათ თქვენი დახმარება, მხარდაჭერა;
- ითხოვეთ დახმარება თუ დაგჭირდებათ;
- იზრუნეთ მათზე, ვისაც ეს სჭირდება;
- გახსოვდეთ, სიძლიერე სხვაზე ზრუნვაა და არა სხვისი ჩაგვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვის განვითარების ძირითადი საკითხები, სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის. ავტორი: ქეთევან თავართქილაძე, რედაქტორი: სალომე ნამიჭეიშვილი 2010;
2. Ross Vasta, Marshall M. Halth, Scott A. Miller – “Child psychology”, second edition, John Wiley&sons, inc. 1997
3. ბავშვზე ძალადობა და უგულებელყოფა, გამოვლენა და რეაგირება; სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის; ევროკავშირი საქართველოსთვის 2017;
4. What to do if you are worried a child is being abused – summary, Ddvice for practitioners, 2015
5. ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები, საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის – საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი 2011;
6. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები – საქართველოს მთავრობის დადგენილება N437, 2016
7. The Physical Signs of Child sexual abuse, an evidence-based review and guidance for best practice, Published by the Royal College of Pediatrics and Child Health, 2015
8. School bullying: Definition, types, related factors, and strategies to prevent bullying problems Metin Pifikin, 2002

გვანცა ხორგუაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი

ბავშვის უფლებები განათლებაში

უცხოეთის გამოცდილება

„გვახსოვდეს: ერთ წიგნს, ერთ კალამს, ერთ ბავშვს და ერთ მასწავლებელს სამყაროს შეცვლა შეუძლია“

მალალა იუსაფზაი

საუბარს მალალა იუსაფზაის ციტატით ვიწყებთ, რათა გავითავისოთ ის ფაქტი, რომ სამყაროში, მსოფლიოში, სახელმწიფოში, ოჯახსა თუ სკოლაში თითოეული ჩვენგანი მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოვადგენთ. ხოლო, თუ ვინ არის მალალა იუსაფზაი, ამაზე პასუხი ასეთია: იგი ცნობილი ადამიანის უფლებათა აქტივისტია, რომელიც ბავშვთა, კონკრეტულად კი, გოგონათა განათლებისთვის ადვოკატირებს. მალალაც იმ პიროვნებათა შორისაა, ვინც ფიქრობს, რომ პირველ რიგში, ვართ ადამიანები და შემდგომ გვაქვს საზოგადოებაში გარკვეული პერსონაჟების როლები თუ სახეები მორგებული, იქნება ეს: გოგო, ბიჭი, მოსწავლე, მასწავლებელი, თანამშრომელი თუ სხვა. როგორც ადამიანებს, გაგვაჩნია ელემენტარული უფლებები, რომელიც ყველგან და ყოველთვის დაცული უნდა იყოს, ამაზე აპელირების კი არ უნდა გვერიდებოდეს.

წინასწარი განწყობის შესაქმნელად და ინტერესის გასაღვივებლად, აქვე გეტყვით, რომ სტატია ადამიანის უფლებებს, კონკრეტულად კი ბავშვის უფლებებს შეეხება; განვიხილავთ მათ შესახებ საყოველთაო დეკლარაციას და წარმოვაჩენთ, რეალურად რა როლს ასრულებს მოსწავლე სკოლაში და რამდენიმე კონკერტული ქვეყნის მაგალითზე გამოვავლენთ, თუ რა უფლებები ენიჭებათ ბავშვებს სასკოლო ცხოვრებასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; გამოიკვეთება, თუ როგორ შეგვიძლია ბავშვთა უფლებების დაცვა განათლებაში და მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა სასკოლო კურიკულუმში.

პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანის უფლებები იგივე ფუნდამენტური ხასიათის უნივერსალური მორალური უფლებებია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მორალური უფლება შეიძლება შეძენილი იყოს (მემკვიდრეობით, ყიდვით, მიღებით, გაცვლით თუ ა.შ), ადამიანის უფლებები დაბადებიდან თანდაყოლილია და ისინი ეკუთვნის ადამიანს, როგორც ასეთს. ეს უფლებები ადამიანებს ბუნებისგან აქვთ მინიჭებული (Osiatynski, 2009, 1). ხოლო, ჩვენი თემატიკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ასახული ადამიანის უფლებების გარდა, ბავშვები და ახალ-

გაზრდები დამატებითი უფლებებით სარგებლობენ, რომელთა თანახმადაც, ბავშვებს განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ, რაც მათ გადარჩენასა და სრული პოტენციალის განვითარებაში ეხმარება; მოწყვლადობის გამო, განსაკუთრებული დაცვის უფლება აქვთ ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ. ეს კონკრეტული უფლებები ასახულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში (CRC), რომლის დაცვაც ყოველ ხელმომწერ სახელმწიფოს ევალება.

წარმოგიდგენთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითს, თუ რა პრინციპებითა და ღირებულებებით სარგებლობენ ისინი სასკოლო გარემოში, როდესაც ბავშვთა უფლებებს ეხება საქმე. შევეხებით ნორვეგიის, გერმანიის, კერძოდ, ბერლინისა და ავსტრალიის, კერძოდ, კუინზლენდის სასკოლო კულტურას, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ განათლების სისტემებს. საყურადღებოა, რომ ამ სამი სახელმწიფოს მაგალითებს მრავალფეროვნებისთვის სხვადასხვა უფლებასა და ღირებულებაზე დავაფუძნებთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი სხვა ქვეყნის მაგალითს შესაძლოა არ ითვალისწინებდეს.

რა პრინციპები და ღირებულებები ეფუძნება ბავშვთა უფლებებს – განვითარებული ქვეყნების სკოლების მაგალითები

„საზოგადოების სულს უფრო მძაფრად არაფერი აჩვენებს, ვიდრე ის, თუ როგორ ექცევა იგი თავის შვილებს“

ნელსონ მანდელა

მოსწავლეთა უფლებები ავსტრალიის მაგალითზე

ავსტრალიის, კუინზლენდის შტატის „კუინზლენდის ბავშვთა უფლებების“ მიერ შემუშავებული გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, რომელიც ბავშვთა უფლებების სწავლებას ეხება, აღნიშნავს, რომ აუცილებელია უფლებების სწავლების მეთოდების გაანალიზება. უფლებებთან ერთად მოვალეობებიც მოდის. მნიშვნელოვანია ბავშვებმა გააცნობიერონ, რომ ჩვენ ყველას გვაქვს პასუხისმგებლობა, დავეხმაროთ სხვათა უფლებების დაცვას და შევქმნათ

სამყარო, რომელშიც ყველანი თავს დაცულად, დაფასებულად და უსაფთხოდ ვიგრძნობთ; გვაქვს პასუხისმგებლობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი განათლება, მოვექცეთ სხვებს სამართლიანად და პატივისცემით და დავიცვათ სხვათა კულტურა, რელიგია და ენა.

გზამკვლევი აჩენს კითხვას – რატომ ვასწავლით ბავშვებს უფლებებს? და ამაზე პასუხსაც გვაწვდის – ბავშვის გაგება სწორისა და არასწორის შესახებ, გაგება სამართლიანობისა მუდმივად იზრდება და ვითარდება. ბავშვებისთვის მათივე უფლებების სწავლება ხელს შეუწყობს იდენტობისა და სოციალური ცნობიერების განვითარებას და ისინი საკუთარი ან სხვათა უფლებების დაუცველობის

(ღირებულებები შემდეგია: მზუნველობა და თანაგრძნობა, პასუხისმგებლობა, მაქსიმუმის კეთება, სამართლიანობა, პატივისცემა, გაგება, ტოლერანტობა და ინკლუზია, თავისუფლება, გულწრფელობა და სანდოობა, ინტეგრირებულობა), რომელიც მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ. უფლებების სწავლებაც სწორედ ამ ღირებულებებთან თანხვედრაში მოდის.

მაგალითისთვის შემოგთავაზებთ ისევ „კუინზლენდის ბავშვთა უფლებების“ მიერ შემუშავებული გზამკვლევიდან ამონარიდ რამდენიმე ღირებულებას, რომელიც დაფუძნებულია, ასევე, ბავშთა უფლებებზე და რომლის დაცვაც ავსტრალიაში სავალდებულოა.

უფლება	პასუხისმგებლობა/ღირებულება
სუფთა წყლის უფლება	**არ დავანაგვიანოთ წყალი/გარემო!**
თამაშის უფლება	**სხვებს არ ვავნოთ!**
მოსმენის უფლება (სხვების მიერ შენი მოსმენის უფლება)	**მოვუსმინოთ სხვებს/სხვებს ვცეთ პატივი!**

იდენტიფიცირებას შეძლებენ. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 42-ე მუხლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს საკუთარ უფლებებს გაეცნოს. მასში, ასევე, ნათქვამია, რომ მასწავლებლები და, ზოგადად, ჩვენ ყველანი, ვალდებულნი ვართ ბავშვებს თავიანთი უფლებების შესახებ ვასწავლოთ. ამ უფლებების გაცნობიერება ბავშვებს საშუალებას მისცემს, ხმა ამოიღონ მაშინ, როდესაც მათი უფლებები დაცული არ იქნება ან დარღვევის საშიშროება წარმოიქმნება. იმის ცოდნა, რომ ადამიანს აქვს უფლებები, ბავშვებს დაეხმარება მეტი კომუნიკაცია დაამყარონ სხვებთან და პატივი სცენ მათ; მოიქცნენ სოციალური პასუხისმგებლობით და მიიღონ ზომები სხვათა უფლებების გასაძლიერებლად. ამისდა მიხედვით, ავსტრალიას, როგორც სხვა რამდენიმე წარმატებული სისტემის მქონე ქვეყანას, შემუშავებული აქვს ღირებულებების მთელი დასტა

მოკლედ და კონკრეტულად, ავსტრალიაში ბავშვთა უფლებები შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- **არადისკრიმინაციის პრინციპი** – განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, განსაკუთრებით, ყველაზე დაუცველი ჯგუფებისთვის როგორც კანონით, ასევე ფაქტობრივად, ყოველგვარი დისკრიმინაციული საფუძვლის გარეშე.
- **ფიზიკური ხელმისაწვდომობა** – განათლება უნდა იყოს უსაფთრთხო, ფიზიკურად ხელმისაწვდომ ადგილზე ან რაიმე გონივრულად მოსახერხებელ ტერიტორიაზე, სადაც მოსწავლეს დასწრება არ გაუჭირდება (მაგ.: ადგილობრივ სკოლაში), ან ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით (მაგ.: დისტანციური სწავლების პროგრამაზე წვდომა).

- **ეკონომიკური ხელმისაწვდომობა** – განათლება ფინანსურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის.

ამგვარადვე, განათლება უნდა იყოს ინკლუზიური, „ბავშვის საჭიროებების შესაბამისი“, როგორც ამას აღნიშნავს „კუინზლენდის ადამიანის უფლებათა აქტი შშმ ბავშვებისთვის სკოლაში“. ბავშვს აქვს უფლება კორექტირების, მოდიფიკაციისა და სპეციალური საშუალებების მიღებისა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სკოლა, სადაც ის სწავლობს, მის საჭიროებებს შეესაბამებოდეს. ასევე, სოციალური და კულტურული შესაძლებლობები უნდა იყოს მისთვის შესაბამისი და სამართლიანად უზრუნველყოფილი. მოსწავლე ყოველთვის უნდა იყოს დაცული და სასწავლო პროცესში ჩართული.

მოსწავლეთა უფლებები ნორვეგიის მაგალითზე

შენიშვნა: ეს უფლებები ვრცელდება ყველა საფეხურის სკოლის მოსწავლეებზე.

ნორვეგია დიდი ქვეყანაა, შედარებით ცოტა მოსახლეობით. 100 წლის წინ იგი ევროპის ყველაზე ღარიბ ქვეყნებს შორის იყო, დღეს კი მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს შორისაა. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ნორვეგია არ არის ევროკავშირის

წევრი. განათლება, და არამარტო განათლება, დასაქმების მაღალი მაჩვენებლებისა და პროდუქტიული და ინოვაციური სამუშაო ძალის არსებობის მიზეზია – ამას თვით ევროპის კომისია გვამცნობს.

ნორვეგიის სასკოლო სისტემა ინკლუზიური და უფასოა. ბავშვებსა და ახალგაზრდებს განათლების თანაბარი უფლება აქვთ, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, სქესისა, სოციალური თუ კულტურული წარმომავლობისა ან რაიმე სხვა განსაკუთრებული საჭიროებისა.

მნიშვნელოვანია, რომ ნორვეგიაში სხვადასხვა ოჯახური წარმომავლობის ბავშვებს შეეძლოთ თანაბარი პირობებით შეხვდნენ საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებს და ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები კლასობრივი, კულტურული თუ რელიგიური განსხვავების მიუხედავად. განათლების სისტემა სწორედ რომ ის საკვანძო საკითხია, რომელიც მრავალფეროვან საზოგადოებას აერთიანებს და აძლიერებს.

ნორვეგიის სკოლებში ბავშვთა უფლებების დაცვა რამდენიმე საკითხში გამოიხატება, რაზეც ყურადღებას ქვემოთ გავამახვილებთ და ამ უფლებებს ჩარჩოში მოვაქცევთ.

- **უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო:** ყველა მოსწავლეს აქვს უფლება, ჰქონდეს უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც კარგ ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და სწავლას უწყობს ხელს. სკოლის შესახებ სწორედ მოსწავლის საკუთარი გამოცდილებაა მნიშვნელოვანი. თითოეულმა მოსწავლემ უნდა განიცადოს მიკუთვნებულობის გრძნობა. სკოლის პასუხისმგებლობაა, თავიდან აიცილოს ბულინგი და სხვა მავნე ქმედებები. სკოლა ვალდებულია, აკონტროლოს სიტუაცია და განათლების სისტემა ნორვეგიაში; ამასთან, კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდოს იმიგრანტ მშობლებსა და მეურვეებსაც. მიიღება კონკრეტული ზომები, თუ მოსწავლე კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას არ გძნობს სკოლაში.
- **თანამშრომლობა სკოლასა და სახლს შორის:** სკოლას, მოსწავლეს და მშობლებსა თუ მეურვეებს შორის აუცილებელია თანამშრომლობა. ეს საშუალებას აძლევს სკოლას, საუკეთესო გზებით დაეხმაროს მოსწავლეს და ხელი შეუწყოს მას კარგი აკადემიური და სოციალური გარემოს განვითარებაში. მშობლები ან მეურვეები ვალდებულნი არიან დაესწრონ სკოლასა და მოსწავლეს შორის მოლაპარაკებებსა და მშობელთა კრებებს. მშობლებსა და მეურვეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ სკოლას მათი შვილის განათლებასა და განვითარებასთან დაკავშირებით, ნებისმიერი კითხვის ან შეშფოთების არსებობის შემთხვევაში.
- **სპეციალური განათლება:** მოსწავლეებს, რომლებიც არ იღებენ ან საკმარისად ვერ იღებენ სასარგებლო რეგულარულ განათლებას, შეიძლება სპეციალური განათლების მიღების უფლება ჰქონდეთ. სპეციალური განათლება ნიშნავს, რომ მოსწავლე ინდივიდუალურად მუშაობს მასზე მორგებულ სასწავლო მიზნებზე, ამასთან, მას კლასში მასწავლებელი ან მასწავლებლის ასისტენტი აკონტროლებს და ეხმარება; მნიშვნელოვანია, მოსწავლეს, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალურად ადაპტირებული აღჭურვილობაც მიეწოდებოდეს. სპეციალური განათლება აუცილებლად ადაპტირებულია მოსწავლის სპეციფიკურ საჭიროებებზე.
- **ენის სპეციალური სწავლება:** მოსწავლეებს, რომლებსაც სხვა მშობლიური ენა აქვთ, რომელიც არ არის ნორვეგიული ან საამური ენა, ან არ საუბრობენ ნორვეგიულ ენაზე, ან ცუდად ფლობენ ნორვეგიულ ენას, აქვთ ენის სპეციალური სწავლების უფლება. უფლება ვრცელდება მანამ, სანამ მათი ნორვეგიული საკმარისად კარგი იქნება მათთვის, რათა რეგულარულად ისარგებლონ საგანმანათლებლო სივრცით.

ენის სპეციალური სწავლება მოიცავს დამატებით ტრენინგს ნორვეგიულ ენაში და ასევე, შეიძლება მოიცავდეს:

- სწავლებას მოსწავლის მშობლიურ ენაზე;
- ორენოვან განათლებას – რომელიც აერთიანებს ერთი ან მეტი საგნის სწავლებას ნორვეგიულ ენასა და მოსწავლის მშობლიურ ენაზე.

შესაბამისად, სკოლას მოეთხოვება მოსწავლის უნარების შეფასება ნორვეგიულ ენაში იმის დასადგენად თუ რა სახის სპეციალური ენობრივი განათლებაა მისთვის შესაფერისი.

- **საშინაო დავალება და მასში დახმარების სქემა:** დაწყებითი და დაბალი საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს საშინაო დავალებაში დახმარების მიღება უფასოდ შეუძლია; ეს მათი სრული უფლებაა. ამ სქემის შეთავაზება კონკრეტულ მუნიციპალიტეტს ეკისრება. საშინაო დავალებაში დახმარების შესახებ არსებულ სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე ერთ საგანს კარგად სწავლობს, მას შესაძლოა რომელიმე სხვაში ესაჭიროებოდეს დახმარება ან პირიქით, შესაძლოა არცერთში არ სჭირდებოდეს რაიმე სახის მხარდაჭერა. ამ ინიციატივას შემდეგი მიზნები აქვს: ხელი შეუწყოს მოსწავლეებს სასწავლო პროცესში მუშაობის გაუმჯობესებაში და, აგრეთვე, წაახალისოს დამოუკიდებლად მუშაობა. ამას გარდა, საშინაო დავალებაში დახმარება განათლების სფეროში სოციალური უთანასწორობის ხარვეზების შემცირებას უნდა უწყობდეს ხელს, ვინაიდან, თანასწორობა ნორვეგიის ძირითად ღირებულებებს შორისაა და მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიურ

გარემოში სწავლება ყველასთვის ადაპტირებული იყოს. თითოეულ მოსწავლეს უნდა განუვითარდეს ძირითადი უნარები და სწავლის პროცესში გამოწვევებს მომზადებული უნდა შეხვდეს, შემდეგ კი რაიმეს მიღწევის განცდა გაუჩნდეს.

- **სასკოლო ტრანსპორტი:** მოსწავლეებს უფასო სასკოლო ტრანსპორტის გამოყენების უფლება აქვთ:
  - თუ სკოლამდე არსებული მანძილი გარკვეულ დისტანციას აღემატება;
  - თუ მოსწავლისთვის ეს მანძილი უსაფრთხო არ არის;
  - თუ მოსწავლეს რაიმე სახის შეზღუდული შესაძლებლობა გააჩნია.

მოსწავლეთა უფლებები გერმანიის მაგალითზე

გერმანიაში განათლება მკაცრადაა განსაზღვრული ქვეყნის ფედერალური სტრუქტურის მიხედვით. განათლებაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია ფედერალურ მთავრობასა და გერმანიის ფედერალურ შტატებს შორის. თითოეულ ფედერალურ შტატს საკუთარი განათლების სისტემა და სასკოლო წესები აქვს. სწორედ ამიტომ არსებობს ამდენი სხვადასხვა ტიპის განათლების სისტემა თუ კურიკულუმი. ფედერალური მთავრობის პასუხისმგებლობის სფერო განათლებაში ძირითადი კანონით (Grundgesetz) განისაზღვრება. მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების განსახილველად კი სტატიაში ყურადღებას ბერლინზე ვამახვილებთ.

რა თქმა უნდა, გერმანიაში ბავშვებს სკოლაში სიარულისა და განათლების მიღების სრული უფლება აქვთ. ხოლო, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების ბავშვებს სრული უფლება აქვთ, განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შეღავათები მიიღონ (BuT ბერლინის საშვის მეშვეობით).

ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, როდესაც კარგი განათლების მიღებასა და სოციალურ და კულტურულ აქტივობებში ჩართულობას ეხება საქმე. გამონაკლისი არც დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების ბავშვები არიან! ამის უზრუნველსაყოფად, მთავრობა ითვალისწინებს სახელმწიფო შეღავათებს საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ეს შეღავათები მოიცავს ყველაფერს — სასკოლო სადილიდან დაწყებული, ექკურსიისა და სკოლისშემდგომი აქტივობებით დამთავრებული.

- ბერლინის საშვის თანახმად, ბავშვებს შემდეგი უფლებები გააჩნიათ: მშობლები იხდიან მხოლოდ და მხოლოდ ერთ ევროს ბავშვის სადილისთვის სკოლაში; პირადი სასკოლო ნივთების საყიდლად წელიწადში 100 ევროს მიღებაა შესაძლებელი; ბავშვებს სრული უფლება აქვთ მოიპოვონ დამატებითი გრანტები, თუ მათ რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევა სურთ; უფასოდ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერთდღიან სასკოლო ღონისძიებებში (ექსკურსიები, პროექტის დღეები, სხვ.); აგრეთვე, შესაძლებელია სპორტულ, კულტურულ თუ სხვა სახის რეკრეაციულ აქტივობებში ჩართვა; საშვი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზეც ვრცელდება.
- ბავშვებს უფლება აქვთ, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ კლასში ან სასწავლო ჯგუფში ბავშვები ირჩევენ ე.წ. სპიკერებს, რომლებიც კლასის ინტერესებს წარმოადგენენ სკოლასა თუ ხელისუფლების წინაშე.
- გერმანიაში ბავშვებს უფლება აქვთ, რომ დაცულები იყვნენ ძალადობისგან, ბულინგისა და დისკრიმინაციისგან. ეს ნიშნავს, რომ ბავშვის ცემა ან დარტყმა კანონს სრულიად ეწინააღმდეგება. და ზოგადად, ეს თემა განსახილველი არც კი უნდა იყოს. ძალადობა დასაგმობია ყველგან და ყოველთვის!

ასე და ამგვარად, თუ სახელმწიფოს სურვილი აქვს განვითარებულობისა და დემოკრატიის, მნიშვ-

ნელოვანია, რომ ბავშვის უფლებები ყველგან და ყოველთვის დაცული იყოს; ამაზე ყურადღება განსაკუთრებით სკოლებმა და მასწავლებლებმა უნდა გაამახვილონ. ავსტრალიის, ნორვეგიისა და გერმანიის გამოცდილებები და თანამედროვე ღირებულებები აუცილებლად გასათვალისწინებელია. მით უმეტეს მნიშვნელოვანია, განვითარებადმა ქვეყნებმა სწორედ ასეთი ქვეყნების გამოცდილებებით ისარგებლონ. ხოლო, თუ დავუჯერებთ გერმანელ იურისტსა და ისტორიული სკოლის შეხედულებების წარმომადგენელს, ფრიდრიხ კარლ ფონ სავინს, სამართალი დროსა და სივრცეში საზოგადოებასთან, საზოგადოების წეს-ჩვეულებებთან, კულტურასთან, პოლიტიკურ სისტემასა და ეკონომიკურ სტრუქტურასთან ერთად ვითარდება. სავინი თვლიდა, რომ კანონი ეფუძნება ხალხს და სწორედ ხალხია მისი მამოძრავებელი ძალა. სამართალი ვითარდება ჯერ ჩვეულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ - მართლმსაჯულების საფუძველზე. შესაბამისად, ჩვეულებების შედეგად ყალიბდება მორალი, რომელსაც მართლმსაჯულება კანონის ძალას ანიჭებს, საბოლოოდ კი იგი ოფიციალურ სამართლად გარდაიქმნება. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაზე (CRC) დაფუძნებით კი მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ, პირველ რიგში, განავითაროს ბავშვთა უსაფრთხოება, დაცულობა, მათდამი პატივისცემა და ინკლუზია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Allison Paterson. (2022). The Right to Be Me: Teacher Guide. Children's Rights Queensland. https://childrensrightsqld.org.au/wp-content/uploads/2022/10/Primary-Teacher-Guide.pdf.
2. Biester SenBJF , E. (2019, April). School welcome to Berlin! - personalabteilung.tu-berlin.de. https://www.personalabteilung.tu-berlin.de/fileadmin/abt6/Medien/Familienbuero/Flyer_und_Brosch_ren/Information-for-New-Berliners-with-Schoolchildren.pdf
3. Germany. Eurydice. (n.d.). Retrieved November 1, 2022, from https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/germany/germany-overview
4. Gollob, R., & Toura, K. (2022, April 7). Human Rights Based School. Living Democracy. Retrieved November 1, 2022, from https://www.living-democracy.com/principals/human-rights/
5. Goodreads. (n.d.). A quote by Malala Yousafzai. Goodreads. Retrieved November 2, 2022, from https://www.goodreads.com/quotes/6569456-let-us-remember-one-book-one-pen-one-child-and
6. Goodreads. (n.d.). A quote by Nelson Mandela. Goodreads. Retrieved November 2, 2022, from https://www.goodreads.com/quotes/117480-there-can-be-no-keener-revelation-of-a-society-s-soul
7. Hu (胡爱华), A., & Huang (黄丽红), L. (2021). Norwegian Policy Initiative of Offering Free Homework Assistance in Schools. ECNU Review of Education, 4(3), 640–651. https://doi.org/10.1177/2096531120970951
8. Jensen, M., Cassar, S., & Ketheeswaran, A. (2019, May). The Queensland Human Rights Act for children with disabilities at school. https://law.uq.edu.au/files/45472/UQ_PBC_publication_right_to_education_under_the_human_rights_act_2019_24_may_2019.pdf
9. Norway. Eurydice. (n.d.). Retrieved November 1, 2022, from https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/norway/norway
10. Osiatyński Wiktor. (2009). Human rights and their limits. Cambridge University Press.

მიხეილ სარჯველაძე

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

ბავშვთა უფლებების

დაცვის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები

ამა თუ იმ ერის და საზოგადოების ცივილიზებულობის გასაზომად თანამედროვე მსოფლიო სავსებით სამართლიანად იყენებს იმ კრიტერიუმს, თუ რამდენად ხარისხიანად, რამდენად ფუნდამენტურად არის დაცული ბავშვის უფლებები, რამდენად აღიარებულია, რამდენად დაფასებული და რამდენად პატივცემულია ბავშვის ის უფლებები, რომელიც ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციით არის გათვალისწინებული.

ეს არის სფერო, რომელში წარმატებითაც თავს უნდა იწონებდეს ნებისმიერი სახელმწიფო. თუმცა, ისიც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვის უფლებების ჯეროვნად დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია და ფასეულია პრაგმატულადაც. უფლებების აღიარება და პატივისცემა არის აუცილებელი წინაპირობა ბავშვის სწორად აღზრდისთვის, ხოლო ბავშვის სწორი აღზრდა და განვითარება არის აუცილებელი წინაპირობა წარმატებული თაობების, წარმატებული საზოგადოების ფორმირებისთვის, რომელსაც შესწევს უნარი სახელმწიფოს აღმშენებლობისა.

სწორედ ამის გამო, ბავშვთა უფლებების დაცვის გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით, საქართველოში უკანასკნელ წლებში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. ცვლილებები შეეხო როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე ბავშვთა დაცვის ეროვნულ მექანიზმებს.

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რაც, სამართლებრივი მნიშვნელობის გარდა, ძალიან სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი იყო. ამ კანონით სახელმწიფომ ცხადად და მკაფიოდ გააკეთა განაცხადი იმის შესახებ, რომ საქართველოს განწყობა ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით იყო აბსოლუტურად სერიოზული, რომ სახელმწიფო აპირებდა გაბედული ნაბიჯების გადადგმას საიმისოდ, რომ გაცილებით მაღალ რეგისტრში ყოფილიყო აყვანილი ბავშვის უფლებებზე რეალური ზრუნვა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იყო ის სფერო, სადაც ბავშვები განსაკუთრებული საფრთხეების წინაშე იდგნენ და აქ ჩარევის საჭიროება იყო გადაუდებელი.

ამ ახალი საკანონმდებლო აქტით დადგინდა ისეთი ფუნდამენტური ცვლილებები, როგორიც არის:

- არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, ასევე არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების, სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებები, რომელსაც განსხვავებული რეგულირება სჭირდებოდა. არ შეიძლება ბავშვთა მონაწილეობა სამართალწარმოებაში იმ წესების იდენტური იყოს, რომელიც დადგენილია ზოგადად. ბავშვების მონაწილეობა განსაკუთრებულ, დიფერენცირებულ მიდგომებს საჭიროებს.
- არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალური წესები.
- კანონის მიღებით დაინერგა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გარანტიები მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დასაცავად. მაგალითად, პროცესის ყველა მონაწილისთვის სავალდებულო გახდა საგანგებო გადამზადება ბავშვებთან დაკავშირებული განსხვავებული რეგულაციების საკითხებში.
- შემუშავდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისთვის და არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მეორადი და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის ქმედითი მექანიზმები. მთავარი პრიორიტეტის სახით განისაზღვრა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია, ნაცვლად რეპრესიული ფუნქციისა.

სერიოზულ ცვლილებათა რიგს მიეკუთვნება 2015 წელს განხორციელებული ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც აიკრძალა 18 წლამდე პირის ქორწინება, მათ შორის მშობლების თანხმობით. აღნიშნულმა ხელი შეუწყო 16-დან 18 წლამდე პირთა იძულებითი ქორწინების პრევენციას.

ცვლილებების შემდეგი ეტაპი იყო 2016 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

- კანონით ჩამოყალიბდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ორსაფეხურიანი სისტემა, დაინერგა საყოველთაო სასკოლო მზაობის პროგრამა ყველა ხუთი წლის ასაკის ბავშვისთვის, დარეგულირდა ინკლუზიური განათლების საკითხები, დადგინდა ბავშვებთან მოპყრობის პრინციპები.
- საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდა ჯგუფების ფორმირების წესი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, ჯგუფებში ბავშვების რაოდენობა, აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა.
- კანონით შემოღებული იქნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სავალდებულო ავტორიზაციის წესი.

იმავე წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში.

- ცვლილების თანახმად, მოხდა მიუსაფარი ბავშვების – ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე 18 წლამდე ასაკის პირების – უფლებათა რეალიზაციის მექანიზმის შექმნა.
- „სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების“ არსებულ ჩამონათვალს დაემატა „მიუსაფარი ბავშვი“ და მოხდა ამ ტერმინის განმარტება. „მიუსაფარი ბავშვის“, როგორც კატეგორიის, საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრით შესაძლებელი გახდა მათთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის დამზადება, რითაც

ასეთი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა სახელმწიფო სერვისი.

პოზიტიური ცვლილებებით აღინიშნა 2018 წელიც, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. ამ კანონის მიხედვით:

- შეიქმნა სოციალური მუშაკის პროფესიის რეგულირების ჩარჩო, განისაზღვრა სოციალურ მუშაკთა ძირითადი კომპეტენციები ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.
- კანონი ხელს უწყობს დეცენტრალიზებული სისტემის განვითარებას, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე სოციალური მუშაობის განხორციელებით.

ბავშვის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სამართალშემოქმედების ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავი საკანონმდებლო აქტი იქნა მიღებული 2019 წლის 20 სექტემბერს და ეს იყო ბავშვის უფლებათა კოდექსი. ამ საკანონმდებლო აქტით ძირეულად შეიცვალა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. არ დარჩენილა ბავშვის ცხოვრების პრაქტიკულად არცერთი სფერო, სადაც სათანადო, შესაბამის კონვენციასთან ჰარმონიული სტანდარტები არ იქნა დაწესებული, რითაც საქართველოს აქვს სამაგალითო საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ბავშვის უფლებების დაცვის საქმეში უნივერსალური და ქმედითი მექანიზმია.

ამ საკანონმდებლო აქტის მიხედვით:

- შეიქმნა ერთიანი სამართლებრივი საფუძველი იმისთვის, რომ სახელმწიფომ გაატაროს კოორდინირებული პოლიტიკა ბავშვის დაცვის სფეროში მისი ინდივიდუალურობის, საზოგადოებრივი ინტერესისა და ღირებულებების გათვალისწინებით.
- განისაზღვრება ბავშვთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ასევე, იქმნება მათი დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა და ამ სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები.
- კოდექსი ემსახურება ბავშვის ყველა უფლების რეალიზებას, ჰარმონიული განვითარების მხარდაჭერას, მის დაცვას ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას, ოჯახის გაძლიერებას და ოჯახიდან ბავშვის განცალკევების რისკების მაქსიმალურად შემცირებას.
- კოდექსის მიერ შექმნილი ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩო სრულად შეესაბამება „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ აღიარებული ბავშვის ყველა უფლების რეალიზაციისთვის საჭირო მოთხოვნებს.

ბავშვის უფლებათა კოდექსის სიახლეები:

- ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებების გაზრდა ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის განხორციელების საკითხში და ბავშვზე ზრუნვის მუნიციპალური სამსახურების შექმნა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით უზრუნველყოფა.
- ბავშვის საკითხებზე მომუშავე პირების სპეციალიზაციის, ასევე, შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადების ვალდებულების აღება სახელმწიფოს მიერ.
- უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა ბავშვებისთვის.
- დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ეტაპობრივად დასახურად.

- ბავშვთან დაკავშირებული საქმეების განხილვას ენიჭება უპირატესობა როგორც საერთო სასამართლოების სისტემაში, ისე ადმინისტრაციულ ორგანოში.

განმარტებები:

- ბავშვის საუკეთესო ინტერესები განისაზღვრება ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.
- კულტურული თავისებურებების პატივისცემა არ არის შეუზღუდავი. დაუშვებელია მისი გათვალისწინება ისეთ შემთხვევებში, რომელიც ბავშვის კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს.
- გადაწყვეტილების მიღებაში ბავშვის მონაწილეობის უფლება და მისი აზრის გათვალისწინება. ისტორიული კონცეფციის მიხედვით, ბავშვი უნდა ყოფილიყო დანახული, მაგრამ არა მოსმენილი.
- ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა - დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემები, რომლითაც შეიძლება გამჟღავნდეს ან არაპირდაპირ მიეთითოს ბავშვის ვინაობა (გამოსახულება, ბავშვის ან მისი ოჯახის წევრების დეტალური აღწერა, სახელები, მისამართები, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები და მსგავსი ინფორმაცია).
- სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი — ბავშვი, რომელზეც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომელიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამოწვევა, წინააღმდეგობა გაუწიოს და გაუმკლავდეს მათ და აღიდგინოს რესურსები, მათ შორის, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ბავშვობისას მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, ძალადობა და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები.

საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა უწყვეტად გრძელდება. სადაც და რამდენადაც იქნება კონკრეტული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, საქართველოს პარლამენტი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ასეთ ცვლილებათა შემუშავებასა და მიღებას. უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს პარლამენტმა მუდმივად განახორციელოს პროცესებზე დაკვირვება და მუდმივად „პულსზე ხელი ჰქონდეს დადებული“, რათა ასეთი ცვლილებების საჭიროება არ დარჩეს შეუმჩნეველი. ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტი აქტიურად აკვირდება კანონის აღსრულების პროცესს და ამ მიმართულებით მუშაობა არის უმნიშვნელოვანესი. სწორედ ამავე მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით არა მხოლოდ სტანდარტები და უფლებები იქნა აღიარებული, არამედ ნაფიქრია იმის თაობაზეც, რომ მაქსიმალურად მეტი ეფექტიანი მექანიზმი არსებობდეს რეალურ აღსრულებაზე კონტროლისათვის.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით აღებული ვალდებულებების შესრულების, კოორდინაციის და იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე შექმნილია მონიტორინგისა და კოორდინაციის მექანიზმები.

პარლამენტში ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებისა და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობისათვის შექმნილია ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულის, ბავშვის უფლებათა

დეპარტამენტის მანდატს წარმოადგენს ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების მონიტორინგი და დარღვევებზე ეფექტური რეაგირება. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: ა) ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის ინდივიდუალური და სისტემური ხასიათის დარღვევების შესწავლა და რეაგირება; ბ) გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის, ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და სხვა საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი; გ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და სხვა.

აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია“. კომისია დაკომპლექტებულია შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი პირებით. კომისიის მანდატს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების განხილვა და შესრულების ხელშეწყობა. კომისიის ფარგლებში, ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები, რომელთა მუშაობის პროცესში მიმდინარეობს მსჯელობა ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შემუშავდა და 2016 წლის 12 სექტემბერს მთავრობის N437 დადგენილებით დამტკიცდა ბავშვის დაცვის მიმართვიანობის პროცედურები. დოკუმენტი უზრუნველყოფს ჩართული სუბიექტების მიერ ბავშვის მიმართ ძალადობის პროაქტიურად გამოვლენას, გადამისამართების და ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება მუშაობა დოკუმენტის შემდგომი დახვეწის მიზნით.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ ბავშვის უფლებები არის სწორედ ის სფერო, სადაც ყველაზე მეტად არის აუცილებელი კომპ-

ლექსური მუშაობა, ყველა რესურსის მობილიზება საიმისოდ, რომ ბავშვის უფლება დაცული იყოს ყველა მიმართულებით, ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით. ამდენად, განსაკუთრებულად საინტერესოა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა კანონშემოქმედებითი საქმიანობის კვალდაკვალ.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფცია, რაც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. ცენტრის შექმნის მიზანია, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვს შესთავაზოს ფსიქოლოგიურ-სოციალური მოკლე და გრძელვადიანი რეაბილიტაცია, ბავშვის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება (ბარნაჰუსის მოდელი). 2022 წლის მარტიდან აღნიშნული ცენტრი ამოქმედდა თბილისის მასშტაბით, მიმდინარე წელს იგეგმება ქუთაისში ანალოგიური ცენტრის კეთილმოწყობა და ამუშავება. 2020 წლიდან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში ფუნქციონირებს ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი - 111.

2018 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც მონიტორინგს უწევს ბავშვის მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას. გამოსცემს სახელმძღვანელოებს და რეკომენდაციებს გამომძიებლებისთვის და მართლწესრიგის ოფიცრებისთვის.

გარდა ამისა, შეიქმნა და გაფართოვდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურები შსს-სა და პროკურატურის სტრუქტურებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეების, მათ შორის არასრულწლოვნების მხარდაჭერას და ინფორმირებას.

2020 წელს, შსს-ში შეიქმნა არასრულწლოვნების მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე არასრულწლოვანთა საქმეების მთავარი სამმართველო, რომელიც დაკომპლექტებულია სპეციალიზებული გამომძიებლებით.

2020 წლიდან ადგილობრივ თვითმმართველობებში შეიქმნა ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურები. ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ: ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი. მიმდინარეა მუნიციპალური სამსახურების დაკომპლექტება.

ადგილობრივ დონეზე არასრულწლოვანთა საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერების მიზნით, რეგულარულად ტარდება მულტიდისციპლინური საბჭოს სხდომები, სადაც განიხილება ადგილობრივი გამოწვევები და გეგმები ბავშვთა მიერ და მიმართ დანაშაულებზე.

მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნის მიზნით.

და ბოლოს, იმდენად, რამდენადაც საქართველოს სახელმწიფო აღიარებს ბავშვის უფლებების პრიორიტეტულობას და ხაზს უსვამს ამ პრინციპს, როგორც უმთავრესს პრინციპთა შორის და საჭიროებას ამ პრინციპით ხელმძღვანელობისა სახელმწიფოს საქმიანობის ნებისმიერ უბანზე, ამიტომ, სახელმწიფო მომავალშიც აქტიურად იქნება დაინტერესებული ბავშვის უფლებების მარეგულირებელი საკანონმდებლო სტანდარტების აღსრულების კონტროლით და ამ სტანდარტების შემდგომი გაუმჯობესებით. ეს არის საქართველოს უკეთესი მომავლის უმთავრესი გარანტია. ბავშვის უფლებების უკეთ დაცვა არის ქვეყნის ნამდვილი სტაბილური პროგრესის აუცილებელი წინაპირობა.

თამარ სიმონია
სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგი

სოციალური მედიის

გავლენა სასწავლო პროცესსა და სოციალურ ცხოვრებაზე

დღევანდელ სამყაროში სოციალური მედია ბავშვების ცხოვრების უდიდეს ნაწილს იკავებს. ნებისმიერი სოციალური, შემეცნებითი, ინტერპერსონალური აქტივობა დაკავშირებულია იმ სოციალურ პლატფორმებთან, რომლის გარეშე ცხოვრებაც წარმოუდგენლად მიგვაჩნია. Facebook, Youtube, Instagram, Tik-tok, Whatsapp და სხვა, ბავშვებს და არა მარტო ბავშვებს, აძლევს შესაძლებლობას, ხელი მიუწვდებოდეთ უამრავ ინფორმაციაზე. გარდა ამისა, სოციალური პლატფორმები ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარების ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბავშვები ზრდასრულებისგან განსხვავებულად იყენებენ სოციალურ მედიას; ისინი უფრო აქტიურად მიჰყვებიან თანამედროვე ტრენდებს და ქმნიან კრეატიულ კონტენტებს.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანებს შესაძლებლობა მისცა, მარტივად მოიპოვონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია; ხელმისაწვდომი გახდა ყველაფერი, რაც ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. სოციალურ პლატფორმებზე ადამიანები განათავსებენ ყველაფერ იმას, რაც სურთ, რომ სოციუმისთვის ხილული გახდეს. ასევეა ბავშვების შემთხვევაშიც და, გარდა ამისა, ბავშვები სოციალურ პლატფორმებს ინფორმაციის მიღებისა და გაცვლისთვის იყენებენ, სხვადასხვა კონტენტის საშუალებით ცდილობენ საკუთარი თავის ისე წარმოჩენას, როგორც სურთ, რომ სხვები ხედავდნენ. ეს მრავალ ფსიქოლოგიურ ასპექტთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ბავშვებს, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში, საკუთარი იდენტობის - „მე“-ს ჩამოყალიბებისა და დემონსტრირების გამძაფრებული სურვილი აქვთ. მათთვის აქტუალურია ინტერპერსონალური ურთიერთობები, რაც გარკვეულწილად უკანა პლანზე წევს საგანმანათლებლო აქტივობებს. 10-16 წლის ასაკის ბავშვებში პრიორიტეტული ხდება თანატოლებთან ურთიერთობა, უფროსი ადამიანები კი, მშობლები იქნებიან ეს თუ მასწავლებლები, ნაკლებად წარმოადგენენ მათთვის ავტორიტეტს; მათ ადგილს მეგობრები იკავენ, რომლებთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებად სოციალური მედია გვევლინება. ბავშვების ასაკობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მათი ინტერესის სფერო ამოუწურავია. ისინი ინტერესდებიან სხვადასხვა მეცნიერე-

ბით, შემოქმედებითი პროცესებით, აქვთ მრავალი კითხვა მათ ირგვლივ მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაზე საუბარიც შესაძლოა მშობლებთან, მასწავლებლებთან და მეგობრებთან ერიდებათ. ინტერნეტი კი მარტივი და სწრაფი საშუალებაა, რომელიც მათ ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერნეტში ხშირად განთავსებულია დამახინჯებული სახით წარმოდგენილი ინფორმაცია, რამაც შესაძლოა ბავშვებს არასწორი, არაჯანსაღი აღქმა ჩამოუყალიბოს ნებისმიერ საკითხთან მიმართებით. თანამედროვე ტექნოლოგიებთან მიჯაჭვულობა ბავშვს წაახალისებს, უფრო მეტი დრო დაუთმოს ვირტუალურ სამყაროს, რაც გარკვეულწილად მის რეალობისგან მოწყვეტას იწვევს. ხშირად ბავშვებს უჭირთ გაარჩიონ ერთმანეთისგან ვირტუალური და რეალური სამყარო, რაც ცვლის მათ მოლოდინებსა და შეხედულებებს გარემოსა და ადამიანების მიმართ.

არსებობს მრავალი მოსაზრება იმის თაობაზე თუ რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვება სოციალური პლატფორმების არსებობას ბავშვის ცხოვრებაში. ბავშვები საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც მოწყვლადია ნებისმიერი დადებითი ან/და უარყოფითი გამოცდილების მიმართ. ნებისმიერი სახის გამოცდილებამ შესაძლოა, წარუშლელი კვალი დატოვოს მათ ცხოვრებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ცხოვრების უდიდეს ნაწილს იკავებს სოციალური პლატფორმები და მედია საშუალებები, ბავშვების განრიდება ყოველივე ამისგან საკმაოდ რთულია. სოციალური მედიისგან მიღებული ინფორმაცია მცირეწლოვან ბავშვებში შესაძლოა ისეთი ემოციებისა და პროცესების ფორმირების მაპროვოცირებელი გახდეს, როგორიც არის ბრაზი, გაღიზიანება, დაძაბულობა, შფოთვა და ა.შ.. გარდა ემოციურ-აფექტურ სფეროში ცვლილებისა, სოციალურ მედიაზე დამოკიდებულება ადამიანის ფიზიკურ ჯანმრთელობასაც აზიანებს. მხედველობასთან დაკავშირებული დარღვევები, გადაღლილობა, მოდუნება, უენერგიობა, შესაძლოა ჭარბწონიანობაც, უძილობა – ის მნიშვნელოვანი ნიშნებია, რაც ბავშვის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

სოციალურ მედიაში განთავსებული ნებისმიერი სახის ვიდეო, ფოტო-მასალა თუ ინფორმაცია, რომელიც ძალადობრივ ელემენტებს ატარებს, ბავშვებისთვის შესაძლოა აღიქმებოდეს როგორც ნორმა,

რაც მომავალში მათ გარკვეულ სირთულეებს შეუქმნის. მრავალი უარყოფითი შინაარსის მქონე ვიდეო ბავშვებს, განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებს, უყალიბებს რწმენა-შეხედულებებს, რომ სამყარო არ არის უსაფრთხო მათთვის, რაც ბავშებში იწვევს შფოთვას, უნდობლობას გარშემომყოფი ადამიანების მიმართ. ხშირია სოციალურ მედიაში განთავსებული უარყოფითი შინაარსის მქონე ინფორმაციები და ძალადობრივი ელემენტები, რაც უმეტესწილად ბავშვებში ნორმალიზდება, ეს კი შესაძლოა მაპროვოცირებელი გახდეს ძალადობრივი ქმედებებისა.

დღეს ძალიან აქტუალური თემაა ბულინგი სკოლებში. ხშირად ვსვამთ კითხვებს თუ რატომ ან საიდან უჩნდებათ ბავშვებს სურვილი, დაჩაგრონ სხვები. გარდა იმ ბევრი ფაქტორისა, რაც ბულერი ბავშვის ბულერად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ სოციალური მედია ბულინგის წახალისებაში ძალიან დიდ როლს ასრულებს. ბავშვის ასაკის თავისებურებებისთვის შეუსაბამო ინფორმაცია, რომელსაც ბავშვი მედია საშუალებებიდან იღებს, უარყოფით გავლენას ახდენს მისი პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებაზე. ტელევიზორში ან/და სოციალურ ქსელში ნანახი სიუჟეტები, რომელიც ძალადობრივ ელემენტებს შეიცავს, შესაძლოა, ბავშვისთვის ერთგვარი მოდელი იყოს იმისა თუ როგორ უნდა მოექცეს სხვებს. ამის შედეგად ხშირია თანაკლასელების ჩაგვრა გარკვეული დისკრიმინაციული ნიშნიდან გამომდინარე. სოციალური მედიისგან მიღებული აგრესია და გაღიზიანებადობა რეალიზდება სწორედ იმ გარემოში, სადაც ბავშვებს უწევთ ყოფნა. პირველ რიგში კი ასეთი ადგილი სკოლაა. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები აგრესიისა და ბრაზის რეალიზებას ვერ ახდენენ სკოლაში, სოციალური მედია თავისუფალ ასპარეზს აძლევს მათ, ერთმანეთის მიმართ აგრესია გამოხატონ სხვადასხვა პლატფორმაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, მშობელი აკონტროლებდეს თუ რას უყურებენ მისი შვილები ტელევიზორში, ტელეფონში, კომპიუტერში, რა სახის თამაშებს თამაშობენ ისინი და სხვა.

ბავშვის აზროვნების, აღქმის, შეხედულებებისა და განწყობების ფორმირებაში უმნიშვნელოვანესი

პასუხისმგებლობა აკისრია იმ გარემოს, სადაც ბავშვი იზრდება. მშობელსა და ბავშვს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულება ერთ-ერთი იმ ძირითად ფაქტორთაგანია, რომელიც ბავშვის პიროვნული მახასიათებლების ფორმირებას განაპირობებს. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს თუ რაოდენ დიდი როლი აქვს მშობლის აღზრდის მეთოდებს. სკოლამდელი ასაკის ბავშვები თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს მშობლებთან ერთად ატარებენ; მშობლები ქმნიან იმ გარემოს, რაც შემდგომ ბავშვების სამყაროსადმი აღქმადობას განაპირობებს. ისინი ერთგვარად ბავშვების ინტერესის სფეროს აძლევენ მიმართულებას. მაგალითად, თუ მშობელი ბავშვს თავიდანვე უკითხავს ზღაპრებს, მის დაინტერესებას ცდილობს წიგნებში არსებული სხვადასხვა ილუსტრაციით, ბავშვის ინტერესის სფერო უფრო ფართოვდება და მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი მრავალფეროვანი, პოზიტიური და დადებითია. მაგრამ თუ მშობელი, დროის უქონლობის ან სხვა მიზეზთა გამო, ბავშვებს გართობის ერთადერთ საშუალებად მუდმივად სთავაზობს მხოლოდ ტექნოლოგიებსა და სოციალურ მედიასთან ურთიერთობას, ასეთი ბავშვები დამოკიდებულნი ხდებიან გაჯეტებზე და მათი ინტერესის სფერო შესაბამისად ვიწროვდება. მათ აღარ სურთ კომუნიკაციის დამყარება სხვა ბავშვებთან, აღარ აინტერესებთ სათამაშოები, წიგნები; ინტერპერსონალური ურთიერთობების სურვილიც შესაბამისად იკლებს. სმარტფონთან და ტელევიზორთან ბავშვების მუდმივი კავშირი, რაღა თქმა უნდა, მათ პიროვნულ თავისებურებებსა და ჩვევებს აყალიბებს. როდესაც ბავშვების გასართობი ერთადერთი საშუალება სმარტფონია, ისინი ნაკლებად აქტიურები ხდებიან, არიან მოდუნებულები, რაც შემდგომ მათ ირგვლივ მიმდინარე პროცესებში ჩართვის სურვილს უკარგავს. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება ბავშვის სწავლისადმი ინტერესზე, სოციალიზაციის ხარისხსა და ბავშვისათვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. აქტიური თამაშები, ურთიერთობები ბავშვებთან, სირთულეების გადალახვა, რაც მათ ფიზიკური და გონებრივი აქტივობებით უწევთ, ხელს უწყობს ბავშვების ლოგიკური აზროვნების, შეხედულებების, მსჯელობის, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის ჩამოყალიბებას.

გარდა იმისა, რომ სოციალური მედია გართობისა და კომუნიკაციის საშუალებაა, ის ასევე, სასწავლო პლატფორმასაც წარმოადგენს. სოციალური ქსელები და მედია ინსტრუმენტები სკოლის მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, მარტივად დაამყარონ კომუნიკაცია მასწავლებლებთან და მეგობრებთან, ხელი მიუწვდებოდეთ სხვადასხვა კვლევასა და სასწავლო ლიტერატურაზე, რაც მათ სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს.

ინტერნეტში განთავსებული ზღვა მასალა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ნებისმიერი მათთვის საინტერესო თემა განსხვავებული პერსპექტივით დაინახონ. ინტერნეტში სხვადასხვა სასწავლო ინფორმაციის ძიების პროცესში ბავშვებს უვითარდებათ ჩართულობის მაღალი ხარისხი. როდესაც ბავშვმა იცის, რომ ინტერნეტში მოიპოვებს ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რაც მას სასწავლო პროცესში წაადგება, მაღლდება მისი მოტივაცია; თუმცა გამარტივებული ძიების პროცესი, რაც სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მიაღებინებს სასურველ შედეგს, მოქმედებს მიზანდასახულობისა და მონდომების გარკვეული ხარისხით დაქვეითებაზე. როდესაც ვსაუბრობთ თუ რაოდენ დიდი როლი აქვს ჯანსაღ გარემოს ბავშვის განვითარების პროცესში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სკოლის ასაკის ბავშვები თავინთი დროის უმეტეს ნაწილს სკოლაში ატარებენ. არა მხოლოდ მშობლებს, არამედ მასწავლებლებსაც უდიდესი როლი აქვთ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მშობელი, ისევე როგორც მასწავლებელი, ბავშვისთვის მისაბაძი პიროვნებაა. პატარებისთვის მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები,

ქცევები ერთგვარი მოდელია იმისა თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა არის ნორმა და რა არა.

მასწავლებლები, დღევანდელ რელობაში, მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან; ერთ-ერთი ბავშვების ყურადღების მიპყრობა და მათში სასწავლო პროცესისადმი ინტერესის გაღვივებაა. საკმაოდ რთულია ბავშვების ყურადღება მიმართო სასწავლო პროცესზე, როდესაც მათი ინტერესი და ფიქრი მხოლოდ იმისკენაა მიმართული, როდის მოწყდებიან სასწავლო პროცესს და დაუბრუნდებიან იმ ვირტუალურ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობენ. ინტერესის არქონა პირდაპირპროპორციულია მოტივაციის არქონასთან, როდესაც მოსწავლეს არ აქვს მოტივაცია, ისწავლოს, განვითარდეს და აღიქვას სკოლის, მასწავლებლებისა და თანაკლასელების როლი მის ცხოვრებაში; შესაბამისად, აკადემიური მოსწრების ხარისხი, რაღა თქმა უნდა, იკლებს. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა ბევრი აქტიური, პრაქტიკული და საინტერესო სასწავლო პროცესი შესთავაზონ თავიანთ მოსწავლეებს; ამოიცნონ თითოეული ბავშვის ის ინდივიდუალური მახასიათებლები, დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც დაეხმარება მათ, უფრო მრავალფეროვანი გახადონ მოსწავლეთა ინტერესების სფერო. მნიშვნელოვანია, ბავშვების ყურადღება ვირტუალური სამყაროდან სასკოლო პროცესებისკენ მივმართოთ. აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნეში ბავშვების ცხოვრება წარმოუდგენელია სოციალური მედიის გარეშე; დროის უმეტესი ნაწილი ეთმობა სოციალურ ქსელებში აქტიურობას, კომპიუტერულ თამაშებს... ყოველივე ეს კი მათი აკადემიური მოსწრების ხარისხზე უარყოფითად აისახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.academia.edu/33386488/The_Effect_Of_TV_On_Children_Education
2. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC9170224/
3. https://gomedii.com/blogs/english/health-a2z/is-social-media-really-affects-your-childs-academic-performance/

სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება ბავშვებს დროის აღქმის უნარს აკარგვინებს; ხშირად, სასწავლო ინფორმაციის მოძიების პროცესში, ისინი გადადიან სხვადასხვა გვერდზე, მათი ყურადღება ინაცვლებს ერთი სფეროდან მეორეზე, რაც მათ ძალიან ბევრ დროს ართმევს. ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება კი აისახება ბავშვების სასწავლო უნარებზე.

მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ თუ რა დადებით და უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვზე სოციალური პლატფორმის ჭარბი დოზით გამოყენება.

სოციალური მედია ეხმარება ბავშვს შემდეგი მიმართულებებით:

- მეგობრებთან, ოჯახთან, თანაკლასელებთან კომუნიკაციის დამყარება
- კომუნიკაციის უნარების განვითარება
- სასწავლო მასალის მოძიება და ცოდნის გაღრმავება
- ბავშვები ეუფლებიან მრავალ მიმართულებას ინტერნეტის მეშვეობით
- ცნობიერების ამაღლება ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით
- შემოქმედებითი უნარების სხვებისთვის გაზიარება

უარყოფითი მხარეები:

- ვირტუალური სამყაროს რეალურისგან გამიჯვნა
- ჭარბი დროის დახარჯვა სოციალურ პლატფორმებზე
- ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას
- არასწორი შეხედულებების ჩამოყალიბება ინტერნეტში ამოკითხული მასალებიდან
- ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დარღვევის მრავალი რისკ-ფაქტორი
- სირთულეები ინტერპერსონალურ ურთიერთობებში
- სირთულეები სასწავლო პროცესში.

ემეგობრე პოლიციას

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლებმა, საქართველოს მასშტაბით, სკოლებში შეხვედრები გამართეს. კამპანია წლის ბოლომდე გაგრძელდება და მისი მიზანია მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე, არასრულწლოვნების მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების პრევენცია.

საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა საჭირო და აქტუალურ თემაზე. შეხვედრები კითხვა-პასუხის ფორმატსაც მოიცავდა, რის შემდეგაც ბავშვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობის ამსახველი ვიდეორგოლი წარუდგინეს.

- საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მოზარდებს გააცნეს საგზაო მოძრაობის წესები და აუხსნეს მათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ წესების დაცვა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის.
- კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები სკოლის მოსწავლეებს ესაუბრებოდნენ მათი უფლებების შესახებ; ასევე, მოზარდებს მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რა დროს უნდა მიმართონ პოლიციას და რამდენად მნიშვნელოვანია სწორი კომუნიკაციის დამყარება სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებთან.
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია „112“-ის საქმიანობის შესახებ. ასევე, აუხსნეს ბავშვებს, რა შემთხვევაში უნდა დარეკონ „112“-ზე და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან. საუბარი შეეხო არამიზნობრივ ზარებსაც. ბავშვებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია იმ ურყოფითი შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს არამიზნობრივი ზარების განხორციელებას. „112“-ის წარმომადგენლებმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს „112“-ის აპლიკაციის და მასში შემავალი “SOS” ღილაკის შესახებ და აუხსნეს აპლიკაციის გამოყენების წესები.
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს მათთვის საჭირო და აქტუალურ თემებზე მართლწესრიგთან დაკავშირებით, მათ შორის ბავშვთა უფლებების, ნაადრევი ქორწინებისა და მისი ზიანის, ბულინგის, ძალადობისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა მოზარდებს განუმარტეს ქცევის წესები საგანგებო სიტუაციებისას.
- მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები სკოლის მოსწავლეებთან გამართულ შეხვედრაზე საუბრობდნენ მართვის მოწმობის აღების წესებსა და დეტალებზე.

კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად:

შეუთანხმდი მეგობრებს;

მოგვეწერეთ მეილზე: info@tpdc.ge

მაია ცირამუა

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) ფსიქოთერაპევტი, კლინიკური სუპერვიზორი

როგორ გავხდე პოზიტიური მშობელი?

სანამ პრაქტიკულ საკითხებს შევეხებით, გთავაზობთ მცირე ინფორმაციას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, როგორიცაა მიჯაჭვულობა.

მიჯაჭვულობა წარმოადგენს ღრმა, ხანგრძლივ ურთიერთკავშირს აღმზრდელსა და ბავშვს შორის, რომელიც ჩნდება ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში და ფიზიკური და ემოციური სიახლოვის სურვილს აჩენს, უზრუნველყოფს ბავშვის სათანადო უსაფრთხოებას.

მიჯაჭვულობის ფენომენის კვლევა და სამეცნიერო ტერმინად დამკვიდრება, ცნობილი ბრიტანელი მეცნიერის, ჯონ ბოულბის სახელს უკავშირდება (1907-1990წ.). მისი თეორია საფუძველს იღებს მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან, როცა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, მრავალი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, მრავალი ბავშვი დაობლდა. როგორც აღმოჩნდა, ასეთ ადამიანებს შემდგომში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდათ; სწორედ ამ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად შეიმუშავა ჯონ ბოულბიმ მიჯაჭვულობის თეორია, რომელიც ეყრდნობა ჩვილისა და მშობლის ურთიერთობას და განსაზღვრავს ზრდასრული ადამიანის ფსიქიკურ პროცესებს. ამ თეორიის მიხედვით, გამოიყოფა მიჯაჭვულობის ოთხი ფორმა:

საიმედო მიჯაჭვულობა

ყალიბდება იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ყოველთვის ყურადღებით პასუხობს ჩვილის მოთხოვნებს და მის მიმართ გამოხატავს მზრუნველობას და ალერსს; ბავშვები ადვილად პასუხობენ გარემო ცვლილებებს, აქვთ უფრო პოზიტიური ემოციები, მცირეხნიანი განშორების გამო არ განიცდიან სტრესს, რადგან ენდობიან მშობელს, იციან, რომ ის დაბრუნდება; ადვილად ამყარებენ კომუნიკაციას გარშემომყოფებთან; საიმედო მიჯაჭვულობა პოზიტიურ გავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ განვითარებაზე; პატარები უფრო მეტი ნდობით გამოირჩევიან გარემოს შესწავლისას და უფრო გახსნილნი არიან შემეცნებისა და დასწავლის პროცესში. საიმედო მიჯაჭვულობა წარმოადგენს

პიროვნების სოციალური ადაპტაციისა და ჯანსაღი ფსიქოემოციური განვითარების საფუძველს.

არასაიმედო-უკონტაქტო მიჯაჭვულობა

როდესაც ჩვილი არასაკმარის ყურადღებას და მზრუნველობას იღებს საკუთარი მშობლისგან, მას შეიძლება ჩამოუყალიბდეს არასაიმედო მიჯაჭვულობა. ყოველივე ეს ხშირად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მშობელი ნაკლებად იცნობს საკუთარი შვილის ემოციებს და ნაკლებად ზრუნავს მის დამშვიდებაზე. მშობლის პოზიცია ზოგჯერ ასეთია – „პატარა იმიტომ ტირის, რომ მე მომიშალოს ნერვები“ ან „ვერ ვხვდები ამ ბავშვს რა უნდა“. თუ მშობელს ნაკლებად შეუძლია პატარას სიგნალების ამოცნობა, მაშინ ცხადია, რომ ბავშვი ნაკლებად ხედავს დასაყრდენს მასში და არ ენდობა მას. ასეთ დროს პატარა უგულებელყოფს მშობლის როლს, რაც შეიძლება გამოიხატოს არამყარ, იშვიათ თვალით კონტაქტში; ბავშვი ნაკლებად რეაგირებს გარშემომყოფების ხმებზე. უფრო მოზრდილებს შეუძლიათ დამოუკიდებლად თამაში და შეიძლება ვერც შენიშნონ, როგორ გავიდა დედა ოთახიდან, ხოლო როდესაც დაბრუნდება, არ იმჩნევენ მის შემოსვლას და გულგრილნი არიან მშობლის მიმართ. სუსტი მიჯაჭვულობა, რომელიც ვლინდება უგულებელყოფით, შემდეგშიც აისახება ბავშვის განვითარებაზე, კერძოდ, მოზარდობისას გამოირჩევიან უფრო მეტი აგრესიულობით და ნეგატიური დამოკიდებულებით თანატოლების მიმართ. ისინი მუდმივად მიმართავენ თავდაცვას და ემყარებიან მხოლოდ საკუთარი თავის იმედს ყველანაირ ურთიერთობაში.

არასაიმედო-ამბივალენტური მიჯაჭვულობა

ჩვილები ამჟღავნებენ მზრუნველის მიმართ სიახლოვის აუცილებლობას, მაგრამ ზოგჯერ წინააღმდეგობრივად იქცევიან; ერთ შემთხვევაში, შეიძლება ჩვილი, მშობლის დაბრუნების შემდეგ, ითხოვდეს ხელში აყვანას ან მისკენ იშვერდეს ხელს, ხოლო მეორე შემთხვევაში, იგივე ჩვილმა შეიძლება გააპროტესტოს მშობელთან შეხვედრა; ეს, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია იმით, რომ ჩვილების სიგნალები მშობლის მხრიდან ყოველთვის არ ან ვერ აღიქმებოდა სწორად. ამის გამო ჩვილებს ნაკლები ნდობა აქვთ, რომ მათი სიგნალები ყოველთვის აღქმული იქნება და გამოირჩევიან გარემოს მიმართ ნაკლები ნდობით; ისინი ეგუებიან იმ ფაქტს, რომ გარემოს მხრიდან ხშირად რჩებიან გაწბილებულნი. ამ ტიპის მიჯაჭვულობა გავლენას ახდენს ბავშვების შემდგომ ქცევაზე, კერძოდ, ისინი ნაკლები ავტონომიურობით გამოირჩევიან და ნაკლები ნდობა აქვს საკუთარი მშობლების მიმართ.

არასაიმედო არაორგანიზებული მიჯაჭვულობა

ასეთ დროს გვხვდება უკონტაქტო და ამბივალენტური მიჯაჭვულობის ელემენტები. ბავშვები ამჟღავნებენ ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევებს. მაგ.: როდესაც მშობელი სახლში ბრუნდება, ბავშვი გარბის, რომ ჩაეხუტოს, მაგრამ უცებ ტრიალდება და სხვა საქმით კავდება; პატარებს აქვთ ნაკლები უნარი, აცნობონ მშობლებს დახმარების საჭიროების შესახებ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მშობლის არასწორი დამოკიდებულება ბავშვის საჭიროებების მიმართ; ხშირ შემთხვევაში, ასეთი ბავშვის მშობლებს თავად აქვთ განცდილი ბავშვობაში ტრავმა და შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლიც იყვნენ. კვლევებმა ცხადყო, რომ მიჯაჭვულობის ეს ფორმა გვხვდება ფიზიკური და სექსუალური ძალადობაგადატანილ ბავშვებში ან როდესაც მშობლები არიან გარკვეულ ნივთიერებაზე დამოკიდებულნი (იღებენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას).

განურჩეველი მიჯაჭვულობა

ყალიბდება მაშინ, როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში არ ჩამოუყალიბდა მიჯაჭვულობა ერთ კონკრეტულ ადამიანზე და ზოგადად, გარემოც ნაკლებსაიმედო იყო მისთვის; ასეთ შემთხვევაში, ბავშვი იჩენს ერთნაირ ყურადღებას ყველას მიმართ და არა კონკრეტული ადამიანის მიმართ; შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რომ ბავშვი ძალიან თბილი და ალერსიანია, მაგრამ ურთიერთობისას შევამჩნევთ, რომ მას ყველას მიმართ ასეთი დამოკიდებულება აქვს.



რა არის საჭირო საიმედო მიჯაჭვულობის ჩამოსაყალიბებლად?

რეკომენდაციები მშობლებისთვის – როგორ გავხდე პოზიტიური მშობელი?

საიმედო მიჯაჭვულობის ჩამოსაყალიბებლად, საჭიროა მშობელმა მეტი დრო დაუთმოს ბავშვთან ურთიერთობას და მისი საჭიროებების დაკმაყოფილებას, ვინაიდან სწორედ საიმედო მიჯაჭვულობა განაპირობებს მნიშვნელოვანწილად ადამიანის უნარს, განივითაროს ნდობა გარემოს და გარშემომყოფების მიმართ.

- იყავით საიმედო ბავშვისთვის;
- გაამდიდრეთ თქვენი ცოდნა და გამოცდილება ბავშვებთან ურთიერთობით;
- იყავით ყურადღებიანი ბავშვის „სიგნალების“ მიმართ;
- შეეცადეთ, დაამყაროთ პატარასთან თვალით კონტაქტი;
- გაუღიმეთ და ესაუბრეთ მას, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების აზრს ვერ არჩევს;
- გამოხატეთ სითბო და ალერსიანად შეეხეთ მას ხელზე, ლოყაზე, რათა კიდევ უფრო დამყარდეს თქვენ შორის დადებითი ემოციური კავშირი;
- იყავით ყურადღებიანი და გამოხატეთ თანაგრძნობა ბავშვის მიმართ;
- აყევით მას თამაშში და მიეცით საშუალება, რომ თვითონ წარმართოს თამაში;
- ერთად იკითხეთ ხშირად;
- მოერიდეთ მის ზედმეტ სტიმულირებას და ემოციურ აღგზნებას. თუ ძალიან აღგზნებულია, დაამშვიდეთ თამაშის დროს, შეანელეთ თამაშის ტემპი ან უფრო მშვიდ ტემპში გადაიყვანეთ.

აღზრდის სტილი

მშობელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ დისციპლინა ეს მხოლოდ საყვედურები, ლანძღვა და ცემაა. „დისციპლინა“ რეალურად ნიშნავს სწავლებას, სწავლება კი, თავის მხრივ, ეყრდნობა მიზნების დასახვას, ეფექტური მიდგომების შემუშავებას, პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების მოძებნას. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ჩვენი შვილის პრობლემები მოზრდილ ასაკში რეალურად დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მოვიქცევით ჩვენ აღზრდის პროცესში. ბავშვები თავიანთ დასკვნებს აკეთებენ არა მარტო იქიდან, ჩვენ რას ვეუბნებით, არამედ იქიდანაც თუ რას ვაკეთებთ ჩვენ თვითონ და როგორ ვიქცევით სხვა ადმიანებთან ურთიერთობისას. ჩვენი პირადი მაგალითი არის უფრო მეტად აღმზრდელობითი, ვიდრე ნებისმიერი შეგონება. ყველაზე ბრძენი სახელმძღვანელოც კი ვერ შეძლებს იდეის რეალიზებას და წარმატების მოტანას. ტერმინი – აღზრდის სტილი – უკავშირდება იმ სტანდარტულ, ჩვეულ სტრატეგიებს, რომლებსაც მშობელი იყენებს ბავშვის აღზრდის პროცესში. ბავ-

შვის პოზიტიური აღზრდა ნიშნავს, ვაქებდეთ ხშირად და ვტუქსავდეთ იშვიათად; წავახალისებდეთ სასურველ ქცევას და იგნორირებას ვუკეთებდეთ ცუდ ქცევას. ქცევათა უმრავლესობა დასწავლილია და მიუხედავად ყოველი ადამიანის ინდივიდუალური გარემო პირობებისა და პიროვნული მახასიათებლებისა, ძალიან ბევრი რამის შეცვლაა შესაძლებელი. ყველა მშობლის ცხოვრებაში დგება მომენტები, როცა ბავშვთან დაკავშირებული სირთულეები დაუძლევლად ეჩვენება და არც კი იცის, რა ზომებს მიმართოს. როცა ვსაუბრობთ აღზრდის მეთოდებზე, მნიშვნელოვანია, გვქონდეს გარკვეული ცოდნა, რომელიც გაგვიადვილებს სწორი ნაბიჯების გადადგმას და მოგვცემს გარკვეულ ჩარჩოს. აღზრდის სტილს განსაზღვრავს ორი ფაქტორი: მშობლის მიერ გამოვლენილი კონტროლი და სითბო. კონტროლი გულისხმობს რამდენად მტკიცედ მოითხოვს მშობელი ბავშვისაგან დადგენილი წესების შესრულებას ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად ანიჭებს ბავშვს პასუხისმგებლობას. მშობლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კონტროლი ამისთვის სჭირდებათ და არა საკუთარი ძალაუფლებით თამაშისთვის. სითბო აღნიშნავს იმას, თუ რამდენად ხშირად და საერთოდ, ავლენს თუ არა მშობელი ბავშვის მიმართ სიყვარულს, მოწონებას, შექებას. ამ ორი ფაქტორის კომბინაციით შეიძლება აღვწეროთ აღზრდის 4 სტილი შესაბამისი მოსალოდნელი შედეგებით:

ავტორიტეტული სტილი

ზომიერად მაღალი კონტროლი + თბილი ურთიერთობები

შედეგი: ყველაზე სასიკეთო გარემოს ქმნის ბავშვის ემოციური განვითარებისათვის. ასეთი მშობლების შვილები გამოირჩევიან თავდაჯერებულობით, კარგი სოციალური უნარებითა და მაღალი თვითკონტროლით.

დემოკრატიული / ლიბერალური სტილი

დაბალი კონტროლი + თბილი ურთიერთობები

შედეგი: თვითკონტროლისა და პრობლემების გადაწყვეტის არასაკმარისი უნარები.

ავტორიტარული სტილი

მაღალი კონტროლი + ცივი ურთიერთობები

შედეგი: ბავშვები მიდრეკილნი არიან პასიურობისაკენ, უინიციატივობისაკენ, ხდებიან უპრეტენზიოები, მშიშრები და სხვებზე დამოკიდებულები. ბიჭები შეიძლება გახდნენ უმართავები და აგრესიულები.

ინდიფერენტული / გულგრილი სტილი

დაბალი კონტროლი + ცივი ურთიერთობები

შედეგი: აღზრდის ასეთი სტილის გამოყენებისას, მშობლები არ აწესებენ საზღვრებს და არ გამოირჩევიან სითბოს გამოვლინებით. კონტროლი ზოგჯერ შეიძლება იყოს მკაცრი, არათანმიმდევრული და მტრული. ეს სტილი ყველაზე უარესი შედეგების მომტანია და ხშირად მივყავართ ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებამდე.

როგორ ვესაუბროთ შვილებს?

მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ, როგორ ვაწვდით ჩვენს შვილებს ინფორმაციას, როგორ ვეუბნებით გააკეთონ ის, რაც სწორად მიგვაჩნია და მოველით, რომ ისე უნდა მოიქცნენ. გთავაზობთ კომუნიკაციის აპრობირებულ ტექნიკებს, რომელიც დაგეხმარებათ მათთვის თქვენი ემოციებისა და მოლოდინების გადაცემაში, რომ სწორად გადასცეთ ის, რისი თქმაც გინდათ და სასურველი შედეგი მიიღოთ.

ღია შეკითხვები – ღია შეკითხვები არ შეიცავს პასუხებს და არ შეიძლება მას პასუხად ქონდეს „კი“ ან „არა“. შეკითხვა „გაქვს ბუტერბროტი საუზმისთვის?“ შეიცავს თავად პასუხს „ბუტერბროტი“ და შეიძლება პასუხად გაეცეს „კი“ ან „არა“; ეს არ არის ღია შეკითხვა. შეკითხვა „რა გაქვს საუზმისთვის?“ არ გთავაზობს თავად პასუხს და მასზე პასუხს „კი“ ან „არა“ ვერ გასცემ, ასე რომ, ეს არის ღია შეკითხვა. ღია შეკითხვა, როგორც წესი, იწყება სიტყვებით – როგორ, რა, სად, როდის, რატომ. ღია შეკითხვები არის საოცრად ეფექტური კომუნიკაციისთვის.

არეკვლა – არეკვლა ნიშნავს, რამდენიმე სიტყვით გაიმეოროთ ის, რაც მოსაუბრემ გითხრათ ან აზრი, რომელიც თქვენ გამოიტანეთ მისი საუბრიდან.

მე მესიჯი – „მე მესიჯი“ ეუბნება ადამიანებს, თუ რას გრძნობს კონკრეტული საკითხის შესახებ, მეგობრულად, თავაზიანად და ღიად. ხშირად ადამიანებმა არ იციან, როგორ ზემოქმედებს მათი ქცევა სხვებზე.

„მე მესიჯი“ შედგება 4 ნაწილისაგან:

- ფრაზას ვიწყებთ იმ ფაქტის აღწერით, რაც არ მოგვწონს – არავითარი ემოცია და ბავშვის შეფასება. მაგ.: „როცა შენ აგვიანებ...“
- შემდეგ აღვწერთ ჩვენს შეგრძნებებს ამ ფაქტთან დაკავშირებით: „მე ვნერვიულობ...“ „მე მწყინს....“ „მე განვიცდი...“
- შემდეგ ავხსნით, რა ზემოქმედებას ახდენს ეს ფაქტი ჩვენზე ან გარშემომყოფებზე, „იმიტომ, რომ მე არ ვიცი მიზეზი დაგვიანების...“
- ბოლოს ვატყობინებთ ჩვენს სურვილს, როგორ გვსურს, რომ მოიქცეს: „მე მინდოდა შენ დაგეერეკა, თუ ვერ მოხვიდოდი დროულად...“

„მე-მესიჯი“ ბავშვის ქცევის შესაცვლელად ეფექტური მეთოდია. პირველ რიგში, ის არ აიძულებს მას რამის გაკეთებას, არამედ აუწყებს აზრს, პოზიციას, გრძნობებს და მოთხოვნებს.

კონკრეტული ტექნიკების გარდა, არსებობს ზოგადი სტრატეგიები, რომლითაც შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შვილთან ურთიერთობის პროცესში. აღნიშნული სტრატეგიების გამოყენება საშუალებას მოგცემთ, ინფორმაცია გადასცეთ ისე, რომ არ მიაყენოთ ზიანი თქვენი შვილის პიროვნულ მახასიათებლებს, მიიღოთ ის და სწორად განავითაროთ ურთიერთობები:

„მიღების ენა“	„მიუღებლობის ენა“
ქცევის და არა პიროვნების შეფასება	უარი ახსნა-განმარტებაზე
შექება	პიროვნების ნეგატიური შეფასება
კომპლიმენტი	სხვასთან შედარება
დროებითი ენა	მუდმივი ენა
ალერსიანი სიტყვები	მინიშნება, რომ არ შეესაბამება მშობლის მოლოდინებს
მხარდაჭერა	იგნორირება
დაინტერესების გამოვლენა	ბრძანება
თავისივე თავთან შედარება	წარუმატებლობაზე ხასგასმა
თანხმობა	შეურაცხყოფა
მოწონება	დამუქრება
პოზიტიური სხეულებრივი კონტაქტი	დასჯა
ღიმილი	„მკაცრი“ მიმიკა
თვალებით კონტაქტი	ნეგატიური ინტონაციები
კეთილგანწყობილი ინტონაციები	
ემოციური გაერთიანება	
წახალისება	
საკუთარი გრძნობების გამოხატვა	
ბავშვის გრძნობების ასახვა	

ჭინა შოგირაძე
არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ფსიქოლოგი

როგორ ვასწავლო შვილს,

რა არის სწორი და რა – არასწორი?

რამდენიმე დღის წინ ზოოპარკში, ჩემდა სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციას შევესწარი: ენოტების ვოლიერთად დაახლოებით 5-6 წლის ბიჭი მშობლებთან ერთად დგას, აღფრთოვანებული და გაოცებული შესცქერის ონავარ არსებებს, ყურადღებით აკვირდება მათ ქცევას და პირველად ხილვის სიხარულით თვალები უციმციმებს.

– დეე, დეე, სურათი გადამიღე რაა! – მუდარით და აღტაცებით ყვირის.

– კაი, შვილო, რაა, რამე წესიერთან გადაიღე, წამო, სპილო ვნახოთ, – პასუხობს დედა.

ეს ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზა, მორალური განვითარების პერსპექტივიდან, ამ ტიპის მესიჯს წარმოადგენს – ყველა ცოცხალი არსება ერთნაირად ღირებული არ არის, ზოგიერთი ცხოველი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები. ფაქტობრივად, ამ რეპლიკით მშობელმა, დიდი ალბათობით გაუაზრებლად, ერთი აგური დადო ბავშვის ფსიქიკაში უთანასწორობისადმი ტოლერანტობის კედლის ასაშენებლად.

ძალიან დამთრგუნველია იმის წარმოდგენა, რომ ჩვენ მიერ ნათქვამ თითოეულ უწყინარ ფრაზას გავლენა აქვს ჩვენი შვილების განვითარებაზე, იმაზე, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან ისინი. მშობელში ამის გაუაზრებლობა დღეს, გაკვირვებას იწვევს ხვალ, როცა ბუმერანგის პრინციპით, ყოველი ნათქვამი სიტყვა, ყოველი ქმედება შვილისგან უკან უბრუნდება.

ბავშვის აღზრდაში უამრავ შეცდომას ვუშვებთ, რაც ბუნებრივი და გარდაუვალია; იმის დაშვებაც კი, რომ შვილს უშეცდომოდ გაზრდით, დიდ შეცდომას წარმოადგენს. მთავარი ისაა, რომ ვფლობდეთ ინფორმაციას ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროს შესახებ, ვიცოდეთ, როგორი მიდგომაა უკეთესი და ამ ცოდნით შეიარაღებულები შევუდგეთ გაზრდა/აღზრდის პროცესს.

ბავშვის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს მისი მორალური განვითარება – მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და რა – არასწორი, რა არის „კარგი“ და რა – „ცუდი“ და ამასთან ერთად, შესაბამისი ქცევების განხორციელება. განვითარების პროცესში, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ ამ პრინციპების ჩამოყალიბება ხდება.

ბავშვის შემეცნებითი და ემოციური სფეროების განვითარების კვალდაკვალ, ასაკის მატებასთან ერთად, მორალური მსჯელობა და მორალური ქცევა იცვლება. როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია მშობელმა იცოდეს, რა ასაკში, როგორი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებს მორალური საკითხების მიმართ და ამ ცოდნის საფუძველზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება

ფსიქოლოგიის მეცნიერებაში მორალური განვითარება ფართოდ შესწავლილი საკითხია. ჯერ კიდევ 1958 წელს, ლოურენს კოლბერგმა, ჟან პიაჟეს შრომებზე დაყრდნობით, მორალური განვითარების სამი დონე და ექვსი საფეხური გამოყო. კითხვის პროცესში ეცადეთ, პასუხი გასცეთ კითხვას: „განვითარების რომელ საფეხურზეა ჩემი შვილი?“ (ტერმინები ნუ შეგაშინებთ)

I დონე: პრეკონვენციური მორალი

მორალური განვითარების ამ დონეზე მორალი გარედან თავსმოხვეულია, ბავშვები მას, როგორც საკუთარს, არ აღიქვამენ. სჯერათ იმის, რასაც ავტორიტეტები (მშობელი, მასწავლებელი) ეუბნებიან. სწორედ ამიტომ, მზად არიან ნებისმიერ წამს დაარღვიონ წესი, თუ მათ ვერავინ ხედავს ან ვერავინ გაიგებს ამის შესახებ. დაახლოებით 9 წლამდე ბავშვები მორალური განვითარების ამ დონეზე იმყოფებიან.

საფეხური 1 – სასჯელი და მორჩილება

ამ საფეხურზე ბავშვები წესებს ემორჩილებიან მხოლოდ იმიტომ, რომ სასჯელი აიცილონ თავიდან. მათ სჯერათ, რომ კონკრეტული ქცევა „ცუდია“, რადგან ამის გამო ვიღაც დაისაჯა.

ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი ტიპური მორალური მსჯელობაა: *ამის გაკეთება შეიძლება, თუ ვერავინ დაინახავს/გაიგებს.*

საფეხური 2 – ინდივიდუალიზმი, გაცვლა

ამ საფეხურზე მორალური მსჯელობა და ქცევა მხოლოდ პირად ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ეფუძნება და არ ითვალისწინებენ სხვა ადამიანების სურვილებსა და საჭიროებებს. რაღაც „სწორია“ თუ მათთვის სასარგებლოა. ბავშვები ფიქრობენ, რომ სრულიან მისაღებია, თუ თანაკლასელის დავალებას შეასრულებენ ბურგერის სანაცვლოდ.

ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი ტიპური მორალური მსჯელობაა: *თუ გსიამოვნებს, გააკეთე!*

II დონე: კონვენციური მორალი

კონვენციური მორალური განვითარების დონეზე, როგორც წესი, იმყოფებიან მოზრდილი ბავშვები, მოზარდები და ზრდასრული ადამიანების უმეტესობაც კი. ამ დონეზე მორალი გარედან კონტროლირებადი აღარ არის, ის ბავშვის იდენტობის ნაწილი ხდება. ამ ასაკშიც ემორჩილებიან ავტორიტეტებისგან და სოციალური გარემოსგან მიწოდებულ პრინციპებს, მაგრამ არა დასჯის შიშით, არამედ იაზრებენ, რომ ამგვარი მიდგომა მათ დადებითი სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებაში ეხმარება. იმისთვის, რომ საზოგადოებამ ჰარმონიულად იარსებოს, წესების დაცვა აუცილებელია. ამ დონეზე ნაკლებად აყენებენ ეჭვქვეშ წესის სამართლიანობას.

საფეხური 3 – „კარგი ბიჭი/გოგო“

ამ საფეხურზე მოზარდები წესებს ემორჩილებიან იმიტომ, რომ სურთ მოწონებულნი იყვნენ საზოგადოების, განსაკუთრებით კი, თანატოლების მხრიდან. წამყვანი პრინციპია: „რას იფიქრებენ სხვები ჩემზე?“. სწორედ ამიტომ, ცდილობენ გაამართლონ ის მოლოდინები, რომლებიც მათ სოციალურ გარემოში არსებობს და სურთ შეესატყვისებოდნენ სტანდარტებს. ამ გზით ისინი ინარჩუ-



ნებენ დადებით ინტერპერსონალურ ურთიერთობებს და მიღებულნი არიან უმრავლესობის მიერ.

ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი ტიპური მორალური მსჯელობაა: *საზოგადოება წყვეტს იმას, თუ ვინ არის კარგი და ვინ ცუდი.*

საფეხური 4 – სოციალური წესრიგის შენარჩუნება

მორალური განვითარების ამ საფეხურზე პიროვნება მიიჩნევს, რომ წესები/კანონები ყველასთვის ერთია და ყველა უნდა დაემორჩილოს, რათა შევძლოთ სოციალური წესრიგის შენარჩუნება, ეს ჩვენი მოვალეობაა. გამონაკლისი არ არსებობს, კანონი უზენაესია.

კოლბერგის მიხედვით, ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრების ბოლომდე განვითარების ამ საფეხურზე რჩება, სადაც მორალი ჯერ კიდევ გარეგანია.

ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი ტიპური მორალური მსჯელობაა: *გააკეთე, რადგან ეს შენი მოვალეობაა.*

III დონე: პოსტკონვენციური მორალი

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანთა უმრავლესობა ვერ აღწევს მორალური განვითარების პოსტკონვენციურ დონეს. მოზარდებში კი ეს დონე, ფაქტობრივად, არ გვხვდება. ადამიანების მხოლოდ 10-15% აღწევს მეხუთე და მეექვსე საფეხურს.

ამ დონეზე პიროვნების მორალური მსჯელობა არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტულია და მორალურ საკითხს განიხილავს არა განზოგადებულად, არამედ კონტექსტის მიხედვით. ითვალისწინებს ინდივიდუალურ ფაქტორებს, კონტექსტს და უფრო ფართო სპექტრით ხედავს მორალურ პრობლემას, წესებს, პრინციპებს. უპირობო მორჩილებას აღარ ავლენს ნორმებისა და კანონების მიმართ.

საფეხური 5 – სოციალური კონტრაქტი

ამ საფეხურზე პიროვნება იაზრებს, რომ წესები ადამიანთა უმრავლესობის შეთანხმების შედეგია

და არ არის აბსოლუტური. შესაბამისად, ფიქრობს, რომ შესაძლებელია, კანონი/ნორმა გადაიხედოს და შეიცვალოს. ზოგჯერ ამ ადამიანების ფასეულობები განსხვავდება არსებული წესებისგან და არღვევენ წესებს ისე, რომ შედეგიც გაცნობიერებული აქვთ.

ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი ტიპური მორალური მსჯელობაა: *წესები ზოგჯერ შეიძლება არასწორი ან უსამართლო იყოს. მორალი არის კონსენსუსი ჩემს ინდივიდუალურ უფლებებსა და საზოგადოების წესებს შორის.*

საფეხური 6 – უნივერსალური ეთიკური პრინციპები

მორალური განვითარების ამ საფეხურზე პიროვნება ხელმძღვანელობს საკუთარი მორალური პრინციპებით („სინდისის ხმით“), რომელიც ეფუძნება უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებს და სამართლიანობას. ადამიანები ემორჩილებიან კანონს თუ ფიქრობენ, რომ ის სამართლიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში, არღვევენ მას.

ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი ტიპური მორალური მსჯელობაა: *მე ეს უნდა/არ უნდა გავაკეთო, რადგან ეწინააღმდეგება ჩემს ფასეულობებს.*



იმისათვის, რომ ამოიცნოთ თქვენი შვილის მორალური განვითარების დონე, დააკვირდით მის ქცევებს, მის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან და ჰკითხეთ, ამას რატომ აკეთებს. გახსოვდეთ, მორალური მსჯელობის განვითარების დონის დასადგენად, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია კითხვა რატომ, ვიდრე კითხვა რა. წარმოგიდგენთ მაგალითებს ყოველდღიური სიტუაციიდან, როგორ უპასუხებდა თქვენი შვილი ამ შეკითხვას?

„წარმოიდგინე, რომ თამაშობ შენზე ასაკით პატარა ბავშვთან ერთად, მას აქვს სათამაშო, რომელიც შენ ძალიან გინდა. როგორ მოიქცევი?“

(4-7 წლის ბავშვისთვის)

შესაძლო პასუხები და შესაბამისი მორალური განვითარების დონე:

- წავართმევ, თუ არავინ მიყურებს. (პრეკონვენციური მორალი, საფეხური 1)
- არ წავართმევ, დედა დამსჯის. (პრეკონვენციური, საფეხური 1)
- წავართმევ, იმიტომ რომ ძალიან მინდა. (პრეკონვენციური, საფეხური 2)
- არ წავართმევ, სულაც არ მიყვარს სათამაშოები. (პრეკონვენციური, საფეხური 2)
- არ წავართმევ, მერე აღარ მეთამაშება. (კონვენციური, საფეხური 3)
- არ წავართმევ, მე კარგი გოგო/ბიჭი ვარ. (კონვენციური, საფეხური 3)

„წარმოიდგინე, რომ შენი მეგობრები ხშირად უწმაწურ სიტყვებს იყენებენ საუბარში, რომლებიც ზუსტად იცი, რომ შენ მშობლებს არ მოსწონთ. დაგცინიან იმის გამო, რომ შენს მსგავს სიტყვებს არ ამბობ, რას გააკეთებდი?“

(8-12 წლის ბავშვისთვის)

შესაძლო პასუხები და შესაბამისი მორალური განვითარების დონე:

- მხოლოდ მაშინ ვიტყვი ამ სიტყვებს, როცა ჩემი მშობლები ვერ გაიგებენ, რათა არ დავისაჯო. (პრეკონვენციური მორალი, საფეხური 1)
- არ ვიტყვი ასეთ სიტყვებს, მშობლები დამსჯიან. (პრეკონცენვიური, საფეხური 1)
- ვიტყვი ასეთ სიტყვებს, მეც მსიანოვნებს მათი თქმა. (პრეკონვენციური, საფეხური 2)
- არ ვიტყვი ასეთ სიტყვებს, არ მესიამოვნება. (პრეკონვენციური, საფეხური 2)
- ვიტყვი იმიტომ, რომ ჩემს მეგობრებს მოვეწონო. (კონვენციური, საფეხური 3)
- არ ვიტყვი იმიტომ, რომ კარგი ბიჭი/გოგო ვარ. (კონვენციური, საფეხური 3)

„წარმოიდგინე, რომ წვეულებაზე ხარ. მოულოდნელად შეამჩნევ, რომ შენი თანატოლები უცნაურად იქცევიან და ჭიქებში სასმელი უსხიათ. ერთ-ერთი სასმელს გთავაზობს. როგორ მოიქცევი?“

(13-18 წლის მოზარდებისთვის)



შესაძლო პასუხები და შესაბამისი მორალური განვითარების დონე:

- არ დავლევ, მშობლები დამსჯიან. (პრეკონვენციური მორალი, საფეხური 1)
- დავლევ, თუ დედაჩემი ვერ გაიგებს. (პრეკონვენციური მორალი, საფეხური 1)
- დავლევ, დარწმუნებული ვარ, მომეწონება. (პრეკონვენციური, საფეხური 2)
- არ დავლევ, ალკოჰოლის გემო არ მომწონს. (პრეკონვენციური, საფეხური 2)
- დავლევ, თანატოლებს გაუხარდებათ. (კონვენციური, საფეხური 3)
- არ დავლევ, კარგი გოგო/ბიჭი ვარ. (კონვენციური, საფეხური 3)
- არ დავლევ, კანონით ალკოჰოლის მიღება 18 წლამდე აკრძალულია. (კონვენციური, საფეხური 4)

მას შემდგ, რაც განსაზღვრავთ, თუ მორალური განვითარების რომელ დონეზეა თქვენი შვილი, შეგიძლიათ მის განვითარებაზე იზრუნოთ. გაითვალისწინეთ მისი ასაკი და ნუ შესთავაზებთ ისეთ მორალურ მსჯელობას, რისი გააზრების უნარიც ჯერ არ აქვს. თუ თქვენი შვილი პრეკონვენციური მორალის პირველ საფეხურზეა, უთხარით არგუმენტები პრეკონვენციური მორალის მეორე საფეხურიდან და ა.შ.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას მორალური მსჯელობისა და მორალური ქცევის გასავითარებლად:

- ესაუბრეთ შვილებს მათთვის გასაგები ენით თქვენს ღირებულებებზე და იმაზე, თუ რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი. არ გამოიყენოთ ტერმინები, რომლებიც მათ არ ესმით. არ გამოიყენოთ აბსტრაქტული ცნებები 11 წლამდე ბავშვებთან საუბრის დროს.
- თქვენ თქვენი შვილების ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი მოდელი ხართ, განსაკუთრებით მოზარდობის ასაკამდე; შესაბამისად, ისინი გიყურებენ და იმეორებენ თქვენს ქცევებს – თუ თქვენ საყვარელი ფეხბურთის გუნდის წაგებას სინანულით, თუმცა მშვიდად ხვდებით, თქვენი შვილი სწავლობს იმას, რომ გამარჯვება ყველაფერი არ არის; თუ მშობლები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან, დიდია იმის შანსი, რომ თქვენი შვილი მომავალში ამგვარადვე მოექცევა თავის შეყვარებულს, ცოლს/ქმარს; თუ თქვენ დამღლელი საქმე ბოლომდე მიგყავთ, დიდი ალბათობით, თქვენი შვილი სრულფასოვნად შეასრულებს საშინაო დავალებებს; როცა მაღაზიის მოლარე იმაზე მეტ ხურდას გაძლევთ, ვიდრე გეკუთვნით და თქვენ მას აბრუნებთ, თქვენი შვილი პატიოსნებას სწავლობს; თუ თქვენ შეგიძლიათ, იცინოთ საკუთარ შეცდომებზე, თქვენი შვილი მარტივად მიიღებს იმას, რომ იდეალური არ არის; როცა მოწყალებას გასცემთ, თქვენი შვილისთვის სიკეთე ღირებული ხდება.

- დაეხმარეთ შვილებს, განივითარონ ემპათიის (თანაგანცდის) უნარი – მიუდექით მათ ემპათიურად; სხვებთან ურთიერთობის დროს გამოხატეთ თანაგრძნობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას ის აკვირდება.
- როცა დაინახავთ, რომ თქვენი შვილი იქცევა თქვენი ღირებულებების შესატყვისად, განუმტკიცეთ ეს ქცევა, უთხარით: *„მე შევამჩნიე, როგორ კეთილად ექცეოდი გიორგის, როგორ ცდილობდი მის გამხიარულებას“; „მე ძალიან ვაფასებ იმას, რომ გულწრფელად მომიყევი ის, რაც სკოლაში მოხდა“.*
- თავი აარიდეთ „ლექციის კითხვას“ – განიხილეთ რა მოხდა, რატომ მოხდა, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა მოქცეულიყო, რა შედეგი მოჰყვა მის ქცევას. ასეთი მიდგომა ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე „ჭკუის დარიგება“.
- როდესაც ბავშვი მორალურად არასწორად იქცევა, აქცენტი გააკეთეთ ქცევაზე და არა მის პიროვნებაზე. პიროვნებაზე აქცენტით, მასში სირცხვილის განცდას იწვევთ („მე ცუდი ვარ“), ხოლო ქცევაზე აქცენტით – დანაშაულის განცდას („მე ცუდად მოვიქეცი“).

როცა ბავშვი ტყუილს ამბობს, შეგიძლიათ უთხრათ: *„ძალიან მეწყინა, რომ მომატყუე, არ ვიცი, მომალავში როგორ გენდო. კომპიუტერთან დღეს არ დაჯდები, იმიტომ, რომ მომატყუე“.*

არ უთხრათ: *„აღარასდროს გენდობი. კომპიუტერთან დღეს არ დაჯდები, იმიტომ, რომ მატყუარა ხარ!“*

ამ გზით ბავშვი/მოზარდი იაზრებს იმას, რომ ცუდად მოიქცა და თან ინარჩუნებს საკუთარი თავის პოზიტიურ აღქმას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მისი ჰარმონიული განვითარებისთვის.

- ეცადეთ, ოჯახის ყველა წევრმა შეინარჩუნოს ერთიანი მიდგომა მორალურ საკითხებთან დაკავშირებით. თუ კონკრეტული „ცუდი“ ქცევის გამო ბავშვს დედა სჯის, მამამ, ბებიამ ან ბაბუამ არ უნდა დააჯილდოოს.
- იყავით თანმიმდევრულები მორალურ საკითხებთან დაკავშირებით. თუ დღეს მოზარდი ისჯება იმის გამო, რომ სიგარეტი მოწია, ორი კვირის შემდეგ იგივე ქცევა რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ამ ქცევას „შეეგუეთ“.
- როცა იღებთ რაიმე გადაწყვეტილებას კონკრეტულ ღირებულებაზე დაყრდნობით, აუხსენით შვილს, რატომ აკეთებთ ამას.
- უყურეთ ფილმებს და წაიკითხეთ წიგნები შვილებთან ერთად, განიხილეთ ნაწარმოებებში წარმოდგენილი მორალური საკითხები სხვადასხვა კუთხით, იმსჯელეთ, მიიღო თუ არა პერსონაჟმა სწორი გადაწყვეტილება? რატომ?

მორალი თანდაყოლილი არ არის; ისიც ისევე, როგორც მათემატიკა, ისწავლება. ყველაზე კარგი მასწავლებლები კი სწორედ თქვენ ხართ. მყარი ღირებულებათა სისტემის ქონა ბედნიერების მაღალ დონესთანაა დაკავშირებული. გინდათ თქვენი შვილი ბედნიერი ადამიანი იყოს? განუვითარეთ მორალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერკი, ლ., 2010, ბავშვის განვითარება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. Haidt, J. (2012). The righteous mind: Why good people are divided by politics and religion. Pantheon/Random House.
3. Kohlberg, Lawrence (1981). Essays on Moral Development, Vol I. I: The Philosophy of Moral Development. San Francisco, CA: Harper & Row.
4. McLeod, S. A. (2013, October 24). Kohlberg's stages of moral development. Simply Psychology.

ნინი გუნსაძე

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველი

ოჯახში ძალადობა

და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე

ძალადობა ყველა დროში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომლის განმარტება, აღქმა და რეაგირების ფორმა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, შეიცვალა ძალადობაზე რეაგირების მექანიზმები, უფრო დეტალურად განიმარტა თუ რას გულისხმობს ძალადობა. ქვეყნის განვითარების დონის მიუხედევად, ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, „ბავშვთა მიმართ ძალადობას და სასტიკ მოპყრობას შეადგენს ფსიქიკური და ემოციური ძალადობის ყველა ფორმა, სექსუალური შეურაცხყოფა, უგულებელყოფა ან დაუდევარი მოპყრობა, ან კომერციული ან სხვა სახის ექსპლუატაცია, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, განვითარებისა და ღირსების ფაქტობრივ ან პოტენციურ ზიანს, პასუხისმგებლობასთან, ნდობასა და ძალასთან დაკავშირებულ კონტექსტში.“

როგორც განმარტებიდანაც ჩანს, ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობა ფართო ცნებაა. გამოიყოფა ძალადობის შემდეგი სახეები:

- **ფიზიკური ძალადობა** – ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: დარტყმა, ხელის კვრა, სილის გაწვნა, „წამოთაქება“ ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, თუნდაც „აღმზრდელობითი“ მიზნით.
- **ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა** – ქცევა, რომლის მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით; ემოციური ძალადობის მაგალითებია: დამამცირებელი სახელით მიმართვა, მუქარა, ისეთი საქციელის დაბრალება, რაც მას არ ჩაუდენია. ძალადობად მიიჩნევა ზრდასრული ადამიანების ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით.
- **უგულებელყოფა**.

ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების

გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

- სექსუალური ძალადობა

ბავშვის გამოყენება სექსუალური მიზნებისთვის

- ბულინგი

ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელსაც თანაკლასელები ან სხვა ბავშვები მიმართავენ ბავშვის დასაშინებლად ან დასამორჩილებლად. ბულინგი ხორციელდება სასკოლო სივრცეში ან სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ძალადობა, თავისი ფართო გავრცელების გამო, შესაძლებელია შეგვხვდეს ყველგან, თუმცა, ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობა ყველაზე მეტად გავრცელებულია ოჯახსა და სასკოლო სივრცეში.

ამასთან, ძალადობას აქვს ქცევის განმეორებითი ბუნება, რომელიც აფერხებს მსხვერპლთა უნარს, თავი დააღწიონ მას.

ბავშვზე ძალადობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, ასევე ოჯახებსა და საზოგადოებაზე. ძალადობაგანცდილ ბავშვებს დარღვეული აქვთ კავშირი უფროსებთან, არ აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის უნარი. მწირი ცოდნისა და საჭირო უნარების ნაკლებობის გამო, ვერ ახერხებენ ავტორიტეტის მოპოვებას სკოლასა და საზოგადოებაში და ზოგჯერ აღიარებას კრიმინალურ და ასოციალურ გარემოში პოულობენ; ძალადობაგანცდილ ბავშვებს აღენიშნებათ ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ ლტოლვა. ზრდასრულ ასაკში, ოჯახის შექმნისას, შესაძლოა, სერიოზულმა სირთულეებმა იჩინოს თავი. ძალადობის შედეგად მიღებული ტრავმები ხშირად ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს, რაც ოჯახს ფინანსურად მძიმე ტვირთად აწვება. ფსიქოლოგიური პრობლემები და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის სირთულეები, რომელიც აღენიშნებათ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, ეკონომიკურ პრობლემას უქმნის მათ ზრდასრულ ასაკში.

ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, ბავშვთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია, მშობლებმა გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:

- არ დაელაპარაკოთ ბრძანების და მუქარის ტონით;
- მოიპოვეთ შვილის ნდობა;
- აგრძნობინეთ შვილს, რომ მისი აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია;
- ღიად ესაუბრეთ შვილს მის ემოციებზე;
- დაფიქრდით, დასჯის ან საყვედურის შიშით, სიმართლეს ხომ არ გიმალავთ ბავშვი;
- თქვენი შვილისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მისი განცდები მშობლისთვის საინტერესოა;
- მოუსმინეთ შვილს ყურადღებით;
- არ გააკრიტიკოთ ბავშვი სხვების თანდასწრებით;
- მიეცით არჩევანის გაკეთების საშუალება;
- თუ შეამჩნევთ ფიზიკური ძალადობის კვალს, არ დატოვოთ უყურადღებოდ;
- ქცევის ცვლილებების შემთხვევაში, მიმართეთ სპეციალისტს;
- აუხსენით, რომ დახმარების თხოვნა სწორი გადაწყვეტილებაა და არა სისუსტე;
- შეპირდით შვილს მხოლოდ ის, რის შესრულებასაც აუცილებლად შეძლებთ;
- წაახალისეთ მისი ძალისხმევა და პოზიტიური ქცევა;
- აუხსენით, რომ ზოგჯერ პრობლემის მოსაგვარებლად უფროსების ჩარევა აუცილებელია.

ძალადობის იდენტიფიცირება, ძალადობაგანცდილი ბავშვის ამოცნობა

ძალადობაგანცდილ ბავშვს აღენიშნება:

დაბალი თვითშეფასება – ბავშვი ვერ აფასებს თავის რეალურ შესაძლებლობებს და თვლის, რომ არაკომპეტენტურია;

საკუთარი თავის დადანაშაულება – ბავშვი შეურაცხმყოფელი საქციელის მიზეზს საკუთარ თავში ეძებს; „რაღაც არასწორად გავაკეთე“, „ჩემი ბრალია, ასე არ უნდა მეთქვა“ და ა. შ..

სიძნელეები სკოლაში – ბავშვს უჭირს სწავლა, ყურადღების კონცენტრირება, უძნელდება თანატოლებთან ნორმალური ურთიერთობა; თვლის, რომ თანატოლებისგან განსხვავებულია და ამიტომაა მისი ცხოვრებაც განსხვავებული;

ძალადობის უარყოფა – კრიტიკულად ვერ აფასებს ურთიერთობებს, პრობლემას და თვლის, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება.

ძალადობის მიმართ მიმღებლობა–ბავშვი თვლის, რომ ძალადობა ჩვეულებრივი რამაა – „ეს ასეც უნდა იყოს“;

მარტოობის განცდა – ბავშვი თავს მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობს;

უნდობლობა გარშემომყოფების მიმართ;

საკუთარი ზედმეტობისა და უღირსობის განცდა – ბავშვი თავს თვლის უმნიშვნელო და უღირს ადამიანად, რომელიც ყურადღებას არ იმსახურებს.

გრძნობების ქაოსი, ამბივალენტური ემოციები.

აღსანიშნავია, რომ ბავშვზე განხორციელებული ნებისმიერი სახის ძალადობა ზიანს აყენებს მის განვითარებას, რაც უარყოფითად აისახება როგორც ოჯახის, ისე საზოგადოების ჯანსაღ ფუნქციონირებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალადობის შედეგად მიყენებული ტრავმები ხშირად საჭიროებს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ხანგრძლივ რეაბილიტაციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა ძალადობის შედეგად მიღებული ტრავმების შესახებ და პრევენციული ღონისძიებების წარმოება.

ბავშვის დაცვა ძალადობისგან საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობაა!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “Understanding domestic violence” Anne L. Ganley ,PH.D
2. ბავშვის განვითარების ძირითადი საკითხები, სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის. ავტორი: ქეთევან თავართქილაძე, რედაქტორი: სალომე ნამიჭეიშვილი 2010;
3. Ross Vasta, Marshall M. Halth, Scott A. Miller _ “Child psychology”, second edition, John Wiley&sons, inc. 1997
4. ბავშვზე ძალადობა და უგულებელყოფა, გამოვლენა და რეაგირება; სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის; ევროკავშირი საქართველოსთვის 2017;
5. What to do if you are worried a child is being abused – summary, Ddvice for practitioners, 2015

www.tpdc.ge